ფასი 25 კაპ.



№ 11

წელიწადი მეოთხე.

ცხოვრება

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

შინაარსი.

1. † ალ. ფრონელი (ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე). 2) ჩანგი, ლექსი აკაკისა. 3) ბძოლის ცეცხლი, ლექსი ობოლი მუშისა. 4) გაიგონეთ, ბალღებო, გაიგონეთ!.. ა. ხაბულიანისა. 5) ბუკისციხის ნანგრევებზე, ლექსი, ი. სიხარულიძისა. 6) ძიება, ნ. ზენობნელისა. 7) სულის ნავი, ლექს , მინა რაჟველისა. 8) სიყვარული, ი. ხუციშვილისა. 9) გძნობის ჩანგი, ლექსი, დ. კუხისპირელისა. 10) „ვზა", პიესა, სანდრო გურულისა. 11) ისევ ბნელა, ლექსი, კ. მიმქრალისა. 12) რედაქციისგან. 13) კრიტიკა, მიხ. აბრამიშვილისა. 14) ილია ლუკას ძე ბახტაძე (ილ. ხონელი.) 15) გაბრიელი, ეპისკოპოზი იმერეთისა, ილ. ხონელისა. 16) ილია მეჩნიკოვი, 17) დეპ. აკ. ჩხენკელის სიტყვა. 18) სომხური პრესა. მკურნალი ვასილ წერეთლისა.

1 ივლისი 1916 წ.

(გარდაცვალებიდან 16 წლის შესრულების გამო.)

ჟუთაისი

სტამბა „ძმობა", ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წელსა

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„ცხოვრება-ზე,“

რომელიც გამოვა ორ კვირაში, ერთხელ რომანოზ სპ. ფანცხავას რედაკტორობით.

ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 5 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 10 შ., თვიურათ 10 შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ.

ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 1 მ. და პირველ ივნისს 1 მ.

ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), გორში—ალექსანდრე რამანიშვილთან, ჭიათურაში—პლატონ კილასონიასთან, სამტრედიაში—მინა კოპალეიშვილთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, საჩხერეში—სიმონ გაჩეჩილაძესთან, ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან და პეტროგრადში—ალექსანდრე არაბიძესთან...

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

საპოლიტიკო, სალიტერატურო, ყოველდღიური გაზეთი

„მეგობარი“

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისთვის.

წელიწადში ღირს 9 მან., ნახევარი წლით—5 მან.. სამი თვით—2 მ. 3 აბაზი., თვეში—18 შაური, ცალკე ნუმერი ყველგან—შაურათ.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ ნაწილათ: ხელის მოწერის დროს—3 მან. ნახევარი, 1 აპრილს—3 მან., 1 აგვისტოს 2 მან. ნახევარი.

ნახევარი წლის ხელის მომწერლებს შეუძლიათ ორ ნაწილათ შემოიტანონ ფული: პირველათ—3 მან., 1 აპრილს—2 მან.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიათ

გ. მაისაშვილის ნაწერების კრებულს.

ცხოვრება № 11.

1 ივლისი. 1916 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

† ალ. ფრონელი

(ალექსანდრე თევდორესძე ყიფშიძე).

თფილისში, 16 ივნისს, ხუთშაფათს ნაშვადღევის 4 საათზე, როცა სადეპუტატო საკრებულოდან შინ ბრუნდებოდა, თავის ბინიდან, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, უეცრათ გარდაიცვალა ალექსანდრე თევდორესძე ყიფშიძე, რომელსაც ქართულ მწერლობაში **ალ. ფრონელის ფსევდონიმით იცნობდენ.**

ვერ შევრიგებივარ იმ წყეულ აზრს, რო ჩემი ნაამხანაგარი, სრულიათ ტანმთელი და სიცოცხლით სავსე საშა საუკუნოთ გაქრა ამიერიდან. სამსახურიდან დიდი შრომით დაღლილ-დაქანცულმა გზაში. მეომარივით, ქუჩაზე დალია სული და, როგორც მოკლულ მეომარს ტანზე შერჩება ტყვია-პატრონები, ისე ალექსანდრესაც, როცა ტანისამოსი გაუშინჯეს, უბის ჯიბეებში ამოაჩდა ორი ახალი, ფრიათ საგულისხმო ქართული მოხსენება-პროეკტი, თურმე. ერთი იყო გამზადებული, თეთრათ გადაწერილი, მეორე-კი შავათ შედგენილი. ძიდიოდა თავის ბინაზე ეს დიდი მუშა კაცი, ერთი ლუკმა პური შეეჭამა, რომ ისევ თავის საყვარელ ინტელიგენტურ მუშაობას შედგომოდა და ეს მეორე პროეკტიც საჩქაროთ გადაეთეთრებია. მარა არ დაცალდა...

მოკვდა სანაქებო ქართველი მწერალი და მოღვაწე, რომელსაც ჯალმით ხელში, საქართველოს გაბედნიერებისთვის თავ-დადებულს, ილიასავით, ბევრჯელ თავზე დათენებია. ალექსანდრე იყო ილიასა და თვისი უფროსი ძმის, დიდათ მშრომელი კაცის-გიგოს გაზდილი. ალექსანდრე ილიას სოფლ-მხიდველობას პირწმინდათ იზიარებდა და იმასავით დიდი მოყვარული იყო თვისი მშობელი ქვეყნის.

სოფლის ღარიბი ღვდლის შვილი, იგი სულით და გულით, მთელი არსებით დემოკრატი იყო, სულ უბრალო, უწყინარი, თავაზიანი და მეტათ ზდილობიანი, საყვარელი კაცი. მარა იგი სხვისგანც მოითხოვდა, რო მასაც ზდილობით მოპყრობოდენ. ილიასავით საშაც კერძო საკუთრების დიდი მოტრფიალე და დამცველი იყო. ქართველი გლეხ-კაცობა ნამეტანი უყვარდა და სულითა და გულით ცდილობდა ჩვენებური თავადების გასაყიდელი მამული ქართველ გლეხებს შეეძინათ. ალექსანდრეს მეოხებით, საადგილ-მამულო კომისიამ, ცხრა წლის განმავლობაში, გლეხებს შეაძენია 48.000 დესეტინა მამული, ნახევარ მილიონათ ღირებული. არცერთ ქართველს ასეთი დიდი სამსახური ქართველი გლეხებისთვის, ასე ცოცხლათ არ გაუწევია ჯერ. იგი კრიჭაში უდგა უცხოელებს, რო ქართველი კაცის მამული უცხოელებს არ ჩავარდნოდა ხელში...

ეს ტანით პატარა კაცი, დიდი, ძალიან მტკიცე ხასიათის იყო. გულში რასაც ამოიჭრიდა დასაწერათ, გაუთავებელს არ გაუშვებდა. სულ იმაზე ფიქრობდა დღე და ღამე, იმაზე მუშაობდა, იმას ალამაზებდა და აშვენიერებდა. და, მართლაც, ჩაუკვირდით მის ნაწერებს: „მთიულეთს 1804 წელს“, „კახეთის ამბოხებას“, „მთის არწივს შამილს“, „დიდებულ მესხეთს“ და სხვებს, რომელნიც ნამდვილ შედევრს წარმოადგენენ ქართული ახალი საისტორიო ლიტერატურაში. ის დიადი და უმწარესი ეპოქები, რომელიც განიკადა უბედურმა საქართველომ მეცხრამტე საუკუნის დასაწყისს, შესანიშნავი მხატვრულის, აპრიალებული ცეცხლით არი გაშუქებული, პატრიოტულის სულის კვეთებით, სუბუქი და ნიავსავით ცელქი, ცოცხალი მჩქეფარე ენით ასწერს იგი ქვეყნის ამ უდიადეს ტრაღედიას და ჩვენი თვალის წინ წარსულს მკვდრეთით აღადგენს...

მოხელეობამ სრულებითაც, ერთ სწუთს ვერ შეუცვალა მას გზა-კვალი, ხასიათი და მიმართულება. პირ-იქით. მოხელის სამსახური მან დიდებულათაც, სამაგალითოდ გამოიყენა და აქ, არქივებში შეკრებილ მასალებზე, ამ შესანიშნავმა კაცმა შექნა და შეადგინა ზემო დასახელებული შვენიერი სალიტერატურო ნაწარმოებნი, რომელიც დიდათ დიდ განძს წარმოადგენს ჩვენი ღარიბი მწერლობისთვის.

ალექსანდრე ტემპერამენტით უფრო ჟურნალისტი იყო. რო ხელმოკლეობა არა, იგი სამსახურშიაც არ შევიდოდა. მარა, აბა, რით ეცხოვრა სოფლის ღარიბი კაცის შვილს? იგიც ხო მისი უფროსი ძმასავით ქართულ მწერლობას ვერ შეაკვდებოდა, რომელიც, საშასავე სიტყვით, თავის დღე'ში ერთხელაც არ გამაძღარიყო ..

ალექსანდრეს ნატვრა იყო, რო ბაღი, რომელიც მას ქართლში ქონდა შეძენილი, ისე დაეყ ნებია, ცოტა ხნის შემდეგ, სამსახურს გაცლოდა და იმ ბაღით ეცხოვრა.

მაშინ აპირობდა მთელი თვისი არსებით ალექსანდრე მიცემოდა ჟურნალისტიკას და მეც მწერდა შარშან: „მაშინ, ჩემო რომანოზ, შენს ჟურნალს არ მოვაკლებ საისტორიო წერილებს. მე და შენ სემინარიის კედლებში დავიწყეთ ჟურნალისტობა და, ამ სიბერის დროს, დიდი, დიდი რაღაც ათი წელიწადი-ღა დაგვჩენია სიცოცხლე და ეს უკანასკნელი ხანიც შევწიროთ იმ დიდ საქმეს, რომელსაც ვემსახურებოდით მას შემდეგ, რაც ჩვენი თავი გვიცვნია...“

საწყალობელი საშა! რაღაც ათი წელიწადი კიდევ დაგვჩენია სიცოცხლეო! რა ვიცოდით, თუ ასე უეცრათ გაქრებოდა ეს შვენიერი, ტკბილი ქართველი...

მეტათ მწარე, ლოდივით მძიმე და აუტანელია ჩვენი ცხოვრება. ჩვენი ყოველის მხრით ლახშული ცხოვრების სოციალური პირობანი ბევრ მომზადებულ, ნიჭიერ მუშა მოღვაწეს შვა გზაზე კლავს და შეუბრალებლათ, გამწარებით ისვრის იმ სასიამო გზიდან, რომელზეც სიარული გულით სურდა მას. ცამდი მართალია ჩვენი ისტორიკოსი, ბ-ნი ე. თაყაიშვილი, როცა წერს, „რომ ალექსანდრე დაიღალა და მისი უდროოთ, ასე მოულოდნელათ გარდაცვალება უსათუოდ შედეგია მისი დაღლილობისა საზოგადო საქმეების გამო. ალექსანდრე სხვერპლათ შეეწირა საზოგადო საქმეს...“

ალექსანდრეს არ დაცალდა თავის საყვარელ ასპარეზზე მუშაობა და სრულ ვაშკაცობაში მოგვტაცა იმისი თავი დაუნდობელმა სიკვდილმა. მარა, ვისაც გულწრფელათ უყვარს ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა და ხალხი, მისი ჭირი და ლხინი საკუთარ ჭირათ და ლხინათ მიაჩნია, ღრმათ დარწმუნებული ვართ, დიდათ ძვირფასი ალექსანდრეს სახელი ღრმათ წაუშლელი დარჩება მის ხსოვნაში და დიდი მადლობითაც მოიხსენებს მის მდიდარს ნაშრომს და ნამოქმედარს.

განსვენებული იყო ღვდლის თევდორეს და მაგდანა ედილაშვილის ასულის შვილი. დაიბადა სოფელ წვერში, 1862 წელს, იანვარში. ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა და მერე, თფილისის სასულიერო სემინარიაში. ამ უკანასკნელ სასწავლებელში მხოლოთ მეოთხე კლასამდი დაყო. შემდეგში კი აღარ მოისურვა სემინარიაში სწავლის გაგძელება, გაათავა მე-4 კლასი და საუნივერსიტეტო სიმწიფის მოწმობისთვის დაიწყო მზადება. მარა აქ ცოტა ბედმა უმტყუნა, იძულებული გახდა გიმნაზიის მე 8 კლასში შესულიყო და ისე მოეპოვებია უნივერსიტეტისთვის საჭირო მოწმობა. 1884 წელს განსვენებული ხარკოვის უნივერსიტეტში შევიდა საისტორიო-საფილოლოგიო ფაკულტეტზე 1888 წელს მან გაათავა ხსენებული უმაღლესი სასწავლებელი და სამშობლოში დაბრუნდა. დაბრუნებისას თფილისის სახაზინო პალატაში შევიდა და, აქიდან მოყოლებული 1906 წლამდი, სულ სახელმწიფო დაწესებულებებში მსახურობდა: ჯერ იყო საგუბერნიო სამმართველოს საქმის მწარმოებლათ, მერე, დაინიშნა საგლეხო საქმეთა საკრებულოს მდივნათ და, შემდეგ, რამდენიმე ხანს ახალციხის მომრიგებელ შვა კაცათ. სულ ბოლოს, მოძრაობის დროს, მთავრობამ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორათ დანიშნა. მარა მალე უკმაყოფილება გამოუცხადა განსვენებულს,

და სახელმწიფო სამსახურიდან სრულიათ დაითხოვა, უპენსიოთ და უმუნდიროთ.

მთავრობის დაწესებულებებში სამსახურის დროს, განსვენებულმა საუცხოოთ შეისწავლა საადგილ-მამულო საქმე და გლეხთა საკითხი. ალექსანდრეს ბადალი ამ საქმეში ძნელათ თუ სადმე მოიპოვებოდა ჩვენ ქვეყანაში.

ალექსანდრე მწერლობას სულ ახალგაზდობაშივე გულით დაეწაფა. სემინარიის პირველ კლასშივე, კაცის სისხლის მსმელი კუვშინსკის დროს, როცა არსენას ლექსის წაკითხვისთვისაც-კი რიცხავდენ შეგირდებს, მალულათ მე დავაარსე ქართული წიგნების ბიბლიოთეკა და დავიწყე გამოცემა ხელნაწერი ჟურნალის, რომელსაც სახელათ დავარქვი „**ნორჩი ტვინი**“. საშა მოთხრობებსაც წერდა ბ ძველი სემინარიელების .ცხოვრებიდანაც ათავსებდა ამბებს ჟურნალში.

შემდეგ წლებში, დავიწყე უფრო სერიოზულათ თვიური ჟურნალის „**ნატვრის**“ გამოცემა, რომელიც საშას სემინარიის გარეთაც მიქონდა, თავის ძმა—გიგოსთან, რომელიც ჟურნალ „ივერიის“, „იმედის“ და „დროების“ რედაქციებში მუშაობდა. ჩვენ ჟურნალს თვალყურს ადევნებდა ანტონ ფურცელაძე, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე უმიკაშვილი და სხვებიც. ჩვენი ჟურნალი მიქონდათ პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, ქალების გიმნაზიაში, გორის საოსტატო სემინარიაშიც, როცა ვაჟა სწავლობდა იქ და, ვგონებ, ქუთაისის გიმნაზიაშიაც, როცა ნიკო მარი სწავლობდა აქ.

ახლა მიკვირს, რატო მაშინვე არ გამოგვრიცხეს მეცა და ჩემი თანამშრომლები სემინარიიდან, სადაც გაბატონებული იყვენ რუსი და ბერძენი ჯაშუშები. როგორც აყროლებული ჰაერისგან გაგიწმენდიათ ოთახი, ორი წლის შემდეგ, ამ ჯაშუშებისგან ჩვენ გავწმინდეთ მთელი სემინარია და, შემდეგ, ფთაც ღონივრათ გავშალეთ... ისეთი დიდი წრეები დავაარსეთ, ისეთი მუშაობა გავაჩაღეთ, რომლის ბადალი არსად საქართველოს არე-მარეზეც არ ყოფილა... აი, ეს დიდი მოძრაობა დასრულდა რეკტორის ჩუდეცკის მოკვლით, რომელმაც სემინარიის უკანასკნელ კლასიდან პირველათ მე გამომრიცხა, ექსარხოსის პავლეს საქართველოდან გაძევებით და ქუთაისის გუბერნიის მარშლის, დიმიტრი ყიფიანის

მოკვლით...

სემინარიიდან გასვლამდი, ალექსანდრე დიდ დახმარებას მიწევდა, რასაც მე ჩემ დღეში ვერ დავივიწყებ.

ალექსანდრე სტუდენტი იყო, როცა სალიტერატურო ასპარეზზე სამოღვაწეოთ გამოვიდა და მას აქით კალამი არ შეუჩერებია. პირველ ხანებში ჟურნალ „ივერიაში“ და გაზ. „დროებაში“ თანამშრომლობდა. ეს მაშინ იყო, როცა „დროებას“ სერგი მესხი რედაკტორობდა. 1889 წელს, ილია ჭავჭავაძის რედაკტორობის დროს, გაზეთ „ივერიის“ კოლეგიის წევრათ მიიწვიეს. დაახლოვებით ამავე წელს დაწერა თვისი ცნობილი პირველი მონოგრაფია „მთიულეთი“ და რამდენიმე წლის შემდეგ, კიდევ „ამბოხება კახეთის“. გაზეთ „ივერიაში“ თანამშრომლობდა თითქმის 1904 წლამდი. უკანასკნელ ხანებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ჯერ ჟურნალ „კლდეში“ და, მერე, გაზ. „საქართველოში“.

სახელმწიფო სამსახურის თავის დანებების შემდეგ, ალექსანდრე მთელი თვისი არსებით ჩაება ქართულ კულტურულ - განმანათლებელ დაწესებულებებში და მათ სასარგებლოთ დაუზარებლათ დიდ შრომას ეწეოდა. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება თავის დღეში არ დაივიწყებენ ალექსანდრეს და მუდამ სანახსოვროთ ექნებათ მისი ნაღვაწლი.

1907 წელს თავად-აზნაურთა საკრებულოსთან დაარსდა საადგილ-მამულო კომისია და ალექსანდრე საქმეთა მწარმოებლათ იქნა მიწვეული. განსვენებული დიდი მუყაითობით შეუდგა მუშაობას. მოსვენებას არ აძლევდა თავის თავს. დიდი ხნის გამოცდილებით შეძენილს ცოდნას ფართო ასპარეზი მიეცა და თავისუფლათ გაშალა ფთა...

განსვენებული დაუზარებლათ აკეთებდა

ყოველგვარ საქმეს, როგორც საზოგადოს, ისე კერძოს, ოღონდ კი ერთიც და მეორეც ერის კეთილდღეობისკენ ყოფილიყო მიმართული.

დაკრძალვის წინა დღით, 20 თებათვეს, განსვენებულის ბინაზე, ყაზბეგის ქუჩაზე, ნაშვადღევის 5½ საათზე, თავი მოიყარა ღრმათ დამწუხრებულმა ყველა წრისა და წოდების ქართველმა საზოგადოებამ. აქ იყვენ „ჩვენი საერთო საქმის ჭირისუფლის“ თანამსახურნი— „დაობლებულ საადგილ მამულო . კომისიის წევრნი“, როგორც მათი გვირგვინის წარწერა მოწმობდა, მისი გულის ზრახვათა მესაიდუმლე მეგობარნი, როგორც მაკოვანნი, მასთან ერთად სიყმით შეზდილნი, ისე ახალგაზდობა. მოსულიყვენ ზემო ქართლის თვალცრემლიანი გლეხკაცნი, პურის თავთავებისგან შეკონილ გვირგვინით და თავს დატიროდენ „მოჭირნახულე ალექსანდრეს“, განსვენებულის გულთან ასე მახლობელ ახალციხელთა წარმომადგენელნი, მადლიერ ჯავახთაგან, რომელთა მაჯის ცემას ბოლო წუთამდი საოცარ სიფხიზლით და გულდასმით დარაჯათ ედგა ერთგული ძამულიშვილი. დამწუხრებულ ქართველ კათოლიკეთა წარმომადგენელი, პატრი ლაზარე გოზალაშვილი, განსვენებულის გულითადი მეგობარი, წარმოეგზავნათ თვის მწუხარების გამოსათქმელათ, განსვენებულის სამშობლო სოფელ, საღოლაშენის გლეხკაცობას, პურის თავთავის გვირგვინითვე—„ჩვენ ძვირფას და დაუვიწყარ საშას“ სატირლათ და, მართლაც, რომ ერთი მათგანი ცხარე ცრემლით დატიროდა „გვარის და სოფლის დამშვენებელს“ ალექსანდრეს გაცივებულ ნეშტს. აქ იყვენ, ბოლოს, თფ. ქართულ ყველა დაწესებულებათა საკულტურო საზოგადოებათა წარმომადგენელნი, ქალი და კაცი.

მცირე პანაშვიდის შემდეგ, რომელიც ყოვ. საღვდელო ანტონიმ გადიხადა, ქალაქის ქაროველ საღვდელოების მონაწილეობით, განსვენეეულის კუბო „საქართველოს“ რედაქციის თანამშრომლებმა და მახლობელ მეგობრებმა ასწიეს და სახლიდან გამოასვენეს. სამგლოვიარო პროცესია ყაზბეგის და იზმაილოვის ქუჩით გაემართა დიდუბისკენ. წინ ჯვარი, დროშები და კუბოს თავი მიქონდათ, შემდეგ, მისდევდა მგალობელთა გუნდი თფ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა, ზ. ჩხიკვაძის ლოტბარობით, მგალობელთა გუნდს, შემოსილი სამღვდელოება, ეპ. ანტონის და არქ. ნაზარის მეთაურობით, საღვდელოების უკან გლეხკაცობას და მეგობარ პატივისმცემელთა ხელით მიქონდათ კუბო ვარდყვავილებში განსვენებულ ძვირფას ცხედრით. სამგლოვიარო პროცესია ბელინსკის ქუჩაზე შეჩერდა სადეპუტატო საკრებულოს შენობის წინ. აქ კვლავ იქნა გადახდილი მცირე პანაშვიდი, რის შემდეგ, განსვენებულის ცხედარი საგანგებო ღია სამგლოვიარო შავძაძით მოსილ ეტლზე დაასვენეს და ოლდას ქუჩით წაასვენეს. მოსკოვის ქუჩის და ვერის თავდაღმართის ჯვარედინ გზაზე, სამგლოვიარო პროცესიას შეეგება „საქართველოს“ რედაქციის მთელი კოლეგია და თანამშრომელთა მთელი შემადგენლობა. რედაკტორმა, ალ. შანშიაშვილმა რედაქციის და კოლეგიის მხრივ ცოცხალ ყვავილების ჯვრით შეამკო განსვენებულის კუბო.

პროცესიამ ვერის დაღმართით და მიხეილის პროსპექტით განაგძო გზა დიდუბისკენ. გზა და გზა პროცესიას განსვენებულის პატივისმცემელნი უერთდებოდენ. ტრამვაის მოძრაობა, როგორც ვერის დაღმართზე, ისე მიხეილის პროსპექტზე შეჩერებულ იქნა.

დიდუბის ქუჩის თავში, პროცესიას შეეგება დიდუბის ტაძრის კრებული და ამ ტაძრისვე ქართულ მგალობელთა გუნდი, მთ. დიაკ. კ. ჩუტკერაშვილის ლოტბარობით. დიდუბის ტაძრის სამგლოვიარო ზარმა გალავანში თავმოყრილ ქართველობას ამცნო ძვირფას ცხედრის მოსვენების სამგლოვიარო ამბავი. ნაშვადღევის 7 ნახ. საათზე, ძვირფასი ცხედარი შეასვენეს დიდუბის ტაძარში და საგანგებოთ ამართულ ადგილას დაასვენეს. აქ ტაძრის წინამძღვარმა, დეკ. ი. მირიანაშვილმა შესაფერი სიტყვა წარმოთქვა.

სიტყვის შემდეგ, დაიწყო პანაშვიდი ეპ.

ანტონის, არქ. ნაზარის და ქართველ საღვდელოების მონაწილეობით. პანაშვიდზე ორი გუნდი გალობდა, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა და დიდუბის ტაძრისა.

პანაშვიდი სრულ 8 ნახ. საათზე დამთავრდა. მიუხედავათ ბინდისა, ხალხი დიდხანს არ დაშლილა.

21 თიბათვეს, ძვირფას ცხედრის შატივსაცემათ დიდუბის ტაძარში შეიკრიბა დიდძალი ქართველი საზოგადოება, როგორც თფილისის, ისე პროვინციებიდან ჩამოსული წარმომადგენელნი, სხვა და სხვა საკულტურო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა და კავშირთა. მთელი ტაძარი და გალავანი სავსე იყო ხალხით. წირვასა და ანდერძს დაესწრენ მთელი შემადგენლობა საადგილმამულო კომისიისა, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა მაზრის წინამძღოლნი, თფ. გუბერნიის თ-დ.-აზნ. წინამძღოლის თ-დ კ. ნ. აბხაზის მეთაურობით, „საქართველოს“. რედაქციის მთელი კოლეგია და თანამშრომელნი და დანარჩენ ქართულ პერიოდულ გამოცემათა წარმომადგენელნი, თფ. ყველა ქართულ დაწესებულებათა საკულტურო თა საგანმანათლებლო საზოგადოებათა და კავშირთა წარმომადგენლები და მრავალი პროვინციის დეპუტაციები.

დაკრძალვას დაეწერენ წარმომადგენელნი 1) ზემო ქართლის გლეხობისგან 2) ზემო გომის საკრედიტო ამხანაგობისა, 3) გომის სინდიკატისა, 4) „სამშობლოს“ რედაკტორი, 5) ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებისა, 6) ქუთაისის ნაციონალ-დემოკრატულ ჯგუფისა, 7) ახალციხის საქველმოქმედო საზოგადების თფ. განყოფილებისა, 8) ახალციხის საქ. საზოგადოების სკოლისა ს. რაბათში, განსვენებულის მიერ დაარსებული, 9) ახალციხის კოოპერ. საზ. „მესხეთისა“, 10) ახალციხის მამადიანქართველთაგან, 11) ახალციხის ბეგებისგან, 12) ახალციხის ქართველებისგან და წარმომადგენელნი სასოფლო საზოგადოებათა: ალელთა, მარტყოფელთა, საგარეჯოელთა, ბრეთელთა, გიორგი წმიდელთა, ახალქალაქელთა, საღოლაშენელთა და სხვ.

წირვა დაიწყო დილის 10 საათზე. მწირველი იყო გორის ეპ. ანტონი, არქიმანდრიტებ ნაზარისა, დოსითეოსის და ქართველ საღვდელოების თანამლოცველობით. წირვის შემდეგ, გძნობიარე სიტყვა წარმოთქვა ეპ. ანტონიმ. წირვის შემდეგ, დაიწყო ანდერძი. წირვაზე და ანდერძზე გალობდა ორი გუნდი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა და დიდუბის ტაძრისა. ანდერძის შემდეგ, სიტყვა წარმოთქვა მღ. ვ. კარბელაშვილმა.

ნაშვადღევის $1^1/_2$ საათზე, განსვენებულის კუბო გამოასვენეს ტაძრიდან ხელით „საქართველოს“ რედაქციის კოლეგიამ, თ-დ-აზნ. გუბერნიის წინამძღოლმა კ. აფხაზმა და განსვენებულის მეგობრებმა და ქართველ მოღვაწეთა პანთეონში გათხრილ სამარის წინ დაასვენეს. მცირე პანაშვიდის და ნათესაობის გამოსალმების შემდეგ, სამარის წინ სიტყვები წარმოთქვეს: „საქართველოს“ რედაქციის და კოლეგიის მხრივ, სპ. კედიამ, გაზეთ „სამშობლოს„ რედაქციის მხრივ ია ეკალაძემ; ახალციხის საქველმ. საზოგადოების თფ. განყოფილების მხრივ, დეკ. დ. ხახუტაშვილმა, ახალციხის ქართ. მამადიანთა მხრივ, ბალში ბეკ მაჩაბელმა, ახალციხის ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების მხრივ, მღ. ბ. კანდელაკმა და გურჯაანის შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის წარმომადგენელმა. სიტყვების შემდეგ, განსვენებულის ცხედარი ნაშვადღევის 2 ს. მიაბარეს მიწას ალ. ხახანაშვილის და ი. გოგებაშვილის სამარეთა შვა.

ჩანგი

აკაკის დაუბეჭდავი ლექსი. *)

ლოცვა და ჩანგის ჟღერა ორივ ტყუპის ცალია!
მათი შემქნელ-მშობელი მხოლოთ ძალთა-ძალია.
მათი აკვან- ტახტიცა გხნობაა და გონება;
ორივეს წინაუძღვის ზეგარდმო ჩაგონება.
არც ბძანებას, არც თხოვნას არ ემორჩილებიან;
ნათლის მფენი წყვდიადში, მნათობს ეცილებიან.

*) ამოღებულია ს. ს. ს. ს—მის ახლათ გამოცემულ წიგნაკიდან.

მათი ხელის შეხება წარამარათ—ცოდვაა!..
ლოცვა ყველგან, უდროოთ ფარისევლის
ბოდვაა.
აგრეთვე ჩანგის ჟღერაც არ ვარგა წარ-
ამარა!..
მგოსანს, თუ ეს არ ესმის, მესტვირეა, მას-
ხარა!..

ბძოლის ცეცხლი.

ბძოლის ცეცხლი, სხივმფინარე—
სუნთქვა არი სიცოცხლისა,
იგი არი სხივთა წყარო,
სხივთა წყარო დიად მზისა;
იგი დამღერს ცის სიმღერას,
უკვდავების ღვთიურ ქნარზე...
და ათთოლებს ყოფნის ჰანგსა
დროთა ბრუნვის ნიავ-ქარზე...
ვერ ჩააქრობს მას ყინული—
სასიკვდილო ლოდი ცივი:
თითონ ქნის და თითონ ანგრევს
ცაში მნათობთ მისი სხივი!..
ბძოლის ცეცხლით გზას იკაფავს,
წინ მიილტვის შრომის შვილი...
ბძოლის ცეცხლი ნათლად სახავს
მომავლისა სხივათ-შლილი...
შემიყვარდა ბძოლის ცეცხლი,
სევდის რიდე მიმოვხიე,
მის სხივებში ტრფობით სული
გავახვიე,
გავახვიე!

*
* *

სიმთა ჟღერით მსურს დავკვესო
ბძოლის ცეცხლის ნაპერწკალი,
მოძმის გულში მსურს ავანთო
ბძოლის ცეცხლის წმიდა ალი.
მსურს თვით ვიქცე ბძოლის ცეცხლათ,
ბნელ წყვდიადის დავწვა რიდე,
ფთა გავშალო ალათ შლილმა
მოვიარო კიდით-კიდე!
ბძოლის ცეცხლში დავწვავ ნაღველს
ვერვინ მნახავს ცრემლსა ვღვრიდე!
ოჰ, დემონო, ნუ ხარხარებ,
მომერიდე,
მომერიდე!

*
* *

ბძოლის ცეცხლის ალში გავხვევ
შრომის შვილის ბორკილებსა;
ბძოლის ცეცხლით ამოვაშრობ
ცრემლის გუბეს, სისხლის ტბებსა!
ბძოლის ცეცხლში დავწვავ გვირგვინს,
დღეს, რო მტარვალს თავს ახურავს,
ბძოლის ცეცხლით დავწვავ რიდეს
განთიადს, რო შავათ ბურავს!
მზე ელვარე
სხივოსანი,
პირ-მკინარე,
ცის მგოსანი
სამოთხისას გახსნის კარებს...
და ჩაგრულიც გაიხარებს.

1915 წ. ობოლი მუშა.

გაიგონეთ, გალლებო, გაიგონეთ!..

ძალიან მიყვარს ყრუ და ჩუმ უბნებში მარტოთ-სიარული. კარგია ასეთ ადგილებში ხეტიალი. ფიქრი, აზროვნება აქ თავისუფალია. აქ სულიერ საზდოს და მოსვენებას განიცდის კაცი.

არ ვიცი, რატომ ავირჩიე დღეს ჩემი მიზნის გასახორციელებლათ სასაფლავოზე ხეტიალი. მარა ეს ასე მოხდა-კი.

დავდივარ სრულებით დამშვიდებული. ძეგლიდან ძეგლზე გადავდივარ და ყოველივე წარწერას გულ მოდგინეთ ვკითხულობ.

ღმერთო ჩემო, აქ თელი პოეზიაა.

ხელოვანთა ცოდნა აქაა ფთა შესხმული... აი, აქ, ამ ქალაქის განაპირა უბანში, თითქოს ამით მიცვალებულთა საბინადრონი ერთმანეთს ეჯიბრებიან.

მე მიყვარს, როცა პატივით ეპყრობიან მიცვალებულის ხსოვნას. მიყვარს ის არემარეც, სადაც ესენი ასე თავისუფლათ და უდარდელათ განისვენებენ, სოფლიო ჭირ-ვარამს გაშორებულნი. მიყვარს და შევნატრი კიდეც მათ მდგომარეობას. მარა თვით სიკვდილის-კი

მეშინია. მეშინია მიცვალებულისაც. არ ვიცი-კი რატომ. ის ხომ არ ადგება?.. ის ხო ჩემზე არ იძიებს შურს,- კიდეც-რომ ადგეს!.. მე ხომ არავარ იმისი დამსამარებელი. დამნაშავე 'იკვდილია, სიკვდილი... ის შეუბრალებელია, აი, იქ კბილები, რო დაუხრჭენია და ახლაც ამ წუთში, ამ სასაფლავოს ხეივნებიდან მალულათ გამოიყურება თვისი საშიშარი, ჩაღრმავებული თვალებით.

ბოროტი.

მგონი, მე მითვალთვალებს...

არა, მე სიკვდილი სრულიათაც არ მინდა. მგონია, თუ არც მოვკვდები. ან რატომ უნდა მოვკვდე? ნაძალადები ხომ არ იყო ჩემი აქ, ამ ქვეყნათ მოსვლა... მაშ, ძალით რატომ უნდა გავშორდე მას. რატომ უნდა მოვკვდე? ეს ხომ უსამართლობაა? ძალმომრეობა სუსტი არსების წინააღმდეგ.

აკი ადამიანი მეფეა, ძალოვანი ყოველ სულდგმულზეო.

ჰო! სიკვდილი ხო სულდგმული არ არის. ის მთელი ქვეყნიერობის და ცის ბოროტ სულთაგან წარმოშობილი შხამია, გესლი თვით ბუნებისა. უჩინრათ მონავარდე. მარა განსახიერებული საზიზღარი წამება.

ბუნება უფრო ძალოვანია.

მაშ, თუ მოვკვდები, რასაჭირო იყო ჩემი გაჩენა. რა მოვიტანე? რას წავიღებ?..

ჩემი ფიქრები უცფათ ყვავის ჩხავილმა შეაკრთო.

საზიზღარი!..

აქაც, ამ მიწის ქვეშაც, არ ასვენებს ადამიანის ლეშს?!.

ჰმ... რა ხარბათ დატრიალებს. ალბათ, მძოვრის სუნი, თუ ცემს.

არა, ეს წარმოუდგენელია... აქ ყველაფერი აყვავებულია: ადამიანის ხელს საუკეთესოთ მოუვლია. ამ ადგილთა ბინები. ვინ იცის, რამდენი მათგანი დევნილი იყო, ან ამავე სასაფლაოთა მომრთველთაგან, შეძულებულნიც. მარა აქ-კი შეიყვარეს. შეიყვარეს სიკვდილის შემდეგ...

ფარისეველნი.

ნეტა, ცოცხლებსაც შეძლებოდათ ასე თავის სახლ-კარისა და ეზოგარემოს მართვა. წყეული ყვავი... ის კვლავ დაფარფატობს და გულდასმით შინჯავს ირგვლივ ყველაფერს. კიდევ დაიჩხავლა... ოჰ, წამებაა ჩემთვის ესხმა?!.. მოვიხედე, დაახლო-კი დავინახე. ერთ ძეგლზე მიმჯდარიყო და ცივ თუჯს, რომელიც ქვეშდებარე მიცვალებულს სახეს გამოხატავდა, თვალებში შავ ნისკარტს უკიკირკიტებდა.

საზიზღარი სალუკმე მძოვრი, თუ ეგონა...

რამდენიმე საათია მე აქ დავდივარ და ჯერ მეათედიც არ დამითვალიერებია. რამდენი განშორებია ტანჯვას, რამდენი ამოფარებია დედამიწის სქელსა და ცივ მკერდს!..

აქ მთელი ქალაქია. იბადებიან და კვდებიან, კვდებიან და იბადებიან...

ჩემთვისაც დადგება ერთი დღე. არა არ-მინდა სიკვდილი. ან რატომ უნდა მოვკვდე, ვის რა დავუშავე?..

ეჰ, ვინ მეკითხება!. სიკვდილი კვლავ გამოიყურება და რაღაც საზიზღრათ მიყვრიალებს თვალებს.

კიდე ხმაურობაა, თუ... მარა ეს ყვავი არაა, ეს მესაფლავეა. ერთი, ორი, სამი.—ნიჩბებითა და წერაქვით მოდიან. ისინი ჩემს ახლოს მოვიდენ და ოითქოს ჩემსავე გასალიზიანებლათ, ახლო, იქვე წერაქვი დაკრეს.

—აი, აქ ჯობია.—უთხრა ერთმა მეორეს.

—მეცა მგონია. მიუგო მეორემ.

—არა, ეს მდიდართა უბანია. აქ არ ვარგა. შევინახოთ იმათთვის, იმათ საჩუქარიც იციან. ის ჩვენსავით ღარიბი იყო და ღარიბთა უბანში ურჩევნია.

დანარჩენებიც დაეთანხმენ და უსიტყვოთ გამშორდენ.

მე თვალი გავადევნე მათ.

საბრალონი! ისინიც ხომ ადამიანებია! დღეს, თუ ესენი უთხრიან მათსავე ტოლს სამარეს, ამათაც ხომ ასეთებივე გაუთხრის და დაასამარებს...

ჰო, ასე იქნება. ალბათ, ასეთია ბუნების კანონი.

ახლა გამოვერკვი, რომ ერთ მიცვალებულის ლოდზე ვიჯექი. ვიგძენ, რომ ამით

იმას შეურაცხყოფა მივაყენე და ასადგომათ წამოვიწიე. მარა რაღაცამ ძირს დამქაჩა...

წყეული სიკვდილი... უცფათ, ის აიტუზა ჩემ წინ: მოაჯირის რკინას ამოდებოდა ჩემი სამოსელი.

ირგვლივ მიმოვიხედე. სიჩუმეა... ჩემს წინ, ერთ საფლავის ქვაზე, დიდი ჯვარია ამართული. გამკეთებელს ცოა არ დაეკლო, რო კარგი გამოსულიყო. ძირიდანვე ხელოვნური ეკალი ქონდა ახვეული.

დიდ ხანს ვუყურე მე მას. მომაგონდა მისი დანიშნულება. ეკალიც—ეს ბოროტი სისხლის მსმელი. იესოს უმანკო სისხლი ხომ იმან იგემა პირველათ... ეს ჯვარი ხომ ემბლემაა წამებულობა!.. მაშ, რატომ არის აქ, ამ სიკვდილშიაც გაუმაძღარია საფლავებს რომ აშვენებს... ღმერთო ჩემო! ადამიანთა გაუმაძღრობა საფლავებშიაც არსებობს. ალბათ: უზარ მაზარ რკინით შემოვლებული მოაჯირშვა, მხოლოთ ერთი ძეგლია ამართული... აქ ხო ასეული მიცვალებული მოთავსებოდა. აქ ხო თელი სასახლე აიგებოდა. ეს სასაფლავო მართლაც, რო მდიდართა უბანია. ყველა მათგანი თითქოს საგანგებოთ და ერთი მეორეს ჯიბრზე არიან მორთულნი.

მე მესაფლავეთ ავედევნე. მივდივარ გულ დასმით და კვლავ ვათვალიერებ ყოველ წვრილმალსაც-კი. ვათვალიერებ-კიარა, ვშინჯავ კიდეც; ვშინჯავ დაკვირვებით და თითოულ მათგანს ცალ-ცალკე ვაძლევ ბინას ჩემ გულში.

რა დიდი უნდა იყოს ადამიანის გული, რომ ამდენ რასმე იტევს დასაწყისიდან დასასრულამდი?..

წერაქვის ხმა ისმის. ორი კაცი ზევით ისვრის ათხრილ მიწას და სამარე თანდათან ღრმავდება. ისინი გულ-დასმით ებაასებიან ერთმანეთს, თითქოს აქ არაფერიაო. ეს უბანი, მართლაც, ღარიბთა უბანია ისე, როგორც ესაა ქალაქებში, სოფლებში ყველგან.

აქა იქ მხოლოთ წარწერანი, ცივი ლოდები, ჯვრები, ან სადათ და ყვავილებით მორთული საფლავები, ან ასეც არა.

გინდა აქ დიდხანს იყო და, რასაც წარწერაში ვერ ამოიკითხავ, სწორეთ იმის ამოკითხვას თხოულობს გონება. ამ სადამბაში და, აი, ამ მიზნით თითოულ მათგანს ცალ-ცალკე ვათვალიერებ.

„აქ განისვენებს №. დარჩა ხუთი შვილი ⁄ ცოლი უმწეოთ“. წერია ერთ ქვაზე.

„დედის ერთა იყო. მისგან მოელოდა უბედური მშობელი ლუკმას და სამშობლო იმედს“. წერია მეორეზე.

„შენ იყავი გახორციელება წამებულთა ფიქრებისა. შენში დავკარგეთ საუკეთესო მოქალაქეთა თავდადებული მებძოლი“.

„1904 წლის სხვერპლო! გმირულათ დაეც ბძოლის ველზე. შენ ვერ ეღირსე შენგან დაწყებულ საქმის დაგვირგვინებას. მარა ჩვენ განვაგძობთ მას და საფლავში გამარჯვებას ჩამოგძახებთ“... და კიდევ სხვა.

მოსალამოებულიყო. უცფათ, საზარელი ხმა შემომესმა... მწვანე ბალახებ შორის, სამი საფლავი შევნიშნე, რომელსაც ვიღაც გამხდარი, შავებით შემოსილი მანდილოსანი დაქვითინებდა.

უბედური დედა!.. ცრემლებს მდინარესავითა ღვრიდა და გულამომჯდარი უიმედოთ და გამწარებით ჩაძახოდა შვილებს: „გაიგონეთ, ბალღებო!.. გაიგონეთ... უბედური დედათქვენის ხმა... მამათქვენი ბძოლის ველზე მოუკლავთ და ამის სათქმელათ მოვედი“.. ხმა მიწყდა, ქალიშვილების საფლავებს გადააწვა ⁄ დიდხანს არ იძროდა.

დროებით ჩემმა გულმა სისასტიკე გამოიჩინა... სიბრალულის მაგიერ, იგი გაქვავდა და სმენათ გადაქცეულს, კვლავ მინდოდა გამეგონა ამ ქალისგან ასეთები და უარესი სიტყვებიც კიდე. მარა ეს დროებითი იყო. სიბრალულმა ჩემი სისასტიკეც არია ⁄ ჩემი თვალებიც დანამა ცრემლებმა.

ქალი კვლავ დუმდა. მეტის მოთმენა-კი შეუძლებელი იყო. მივედი და რამდენიმე ხნის შემდეგ, მოსულიერებული წამოვაყენე.

—რატომ ტირი, დედა? შენ ხო პირველი არა ხარ?..

—კი, პირველი ვარ... ყველანი ცალ-ცალკე პირველი ვართ ჩემს უბედურობაში...

მზე მიიმალა... ღამემ ფთები გაშალა და

შავ ჯოჯოხეთად გადაეფარა არემარეს. გაზაფხულის სიომ ხომლის მწვერვალიდან წამოღებული ახალი მთის ნაზი ჰაერი გადაატარა ობოლთა და ტვირთმძიმეთა საფლავებზე, თითოულ მათგანს ცალ-ცალკე მიუალერსა, რაღაც ჩაჩურჩულა და მდიდარ ჭალაკებისკენ დაეშვა...

მესაფლავეთა გული უკვე შეჩვეოდა ბუნების სისასტიკეს. არვიცი-კი, რაიგძნო იმათმა გულმა... მარა შრომ-კი არ შეუწყვეტიათ და სახვალიო სხვერპლს სამარეს უმზადებდენ გულდამშვიდებულათ...

ა. ხაბულიანი.

ბუკისციხის ნანგრევებზე.*)

ნანგრევთა შორის, მარტოკა ობლათ დავეხეტები, როგორც აჩდილი...
აქ მყუდროებას არავინ მირღვევს, აქ სიჩუმეა და მხოლოთ ძილი,
ცივს დუმილს აფრქვევს ციხისა სახე, მოპირქუშული და დაღვრემილი.
გველები ქვებში ფთხილათ დაცოცვენ, აქ ფრინველებსაც იპყრობს დუმილი.
აგერ, გარღვეულ ციხის ზღუდეზე, ყვავილი ვნახე, გუშინ გაშლილი,
დღეს-კი დამჭკნარა, დღეს აღარ მოჩანს, გამქრალა ქვებში ფოთლებ დაყრილი...
ასე იმედთა ნანგრევებ შორის, შვება ჩემ გულშიც გაიფუჩქნება,
მარა ფერმკრთალი, უნიადაგო, მალე, სულ მალე ისევა ჭკნება...
მიყვარს მე ციხე, ჟამით ძლეული, მიყვარს კედლები ჩამონგრეული.
მხოლოთ აქ ძალმიძს, რო გადავფურცლო დანთქმული სიყრმის ტანჯვის რვეული,..
მიყვარს ეს ციხე—ის ძეგლი არი ჩვენ წინაპართა მძლეთა მძლობის,
მტერთან იმათი მედგარი ბძოლის, მათი გმირობის, მათი მხნეობის...
მარა დღეს, რას გავს?.... ვით ყველაფერმა—იმანაც ქედი ჟამს მოუხარა,
მას მოგონება არ უფთხობს ღრმა ძილის-ის ნანგრევთ შორის დაასამარა....
მეც ნანგრევი ვარ იმედთა კოშკის—სიყმაწვილის ჟამს აშენებულის,
მაინც ვერ ჩავკალ მათ ნანგრევებში ხსოვნა წარსულის,-ამშლელი წყლულის...
და დღეს ძეგლი ვარ სევდა—ნაღველის, ჩემს სახეს აზის ნათლად წარწერა:
„რომ არვის ძალუძს გაინვლილი ჟამის შემობრუნება, ისევ დაჭერა,
სულის სიცივემ გაყინაგული, აწ აღარ ძალ-უძს იმედით ძგერა,
მარა ოხერ გულს, დაუდგომელს, ეს მაინც არ სწამს, მაინც არ ჯერა.

ი. სიხარულიძე.

ბუკისციხე- გურია. მაისი, 1915 წ.

ძ ი ე ბ ა.

ავაზაკივით დევნილი დავეხეტები ტყესა და ღრეში და დავეძებ სამლოცველოს ისეთს, სადაც ჭეშმარიტების მღაღადებელნი ციურ საგალობელს მოასმენდეს ტვირთ მძიმეთა და დაბეჩავებულთ.

მე მსურს ცხოველ ლოცვებით დავემხო მის წინაშე და ვთქვა ლოცვები აგზნებული მზიურ ზრახვათა და ფიქრთა ჩემთა, რომელიც იფერფლება დღეს დაუსრულებელ ღამეების თევაში და მწვავე კაეშნობაში.

შემოღამების სიმღერებში, ვით მივეცე თავდავიწყებას. როგორ დავატკბო და მოვას-

*) ბუკისციხე-სოფელია აღმოსავლეთ გურიაში. ამ სოფელში თამარის ციხეა, რომელსაც ბუკისციხეს უწოდებენ. ავტ.

ვენო სული ჩემი ეული შეჩვენებული და განწირული კაცთა სიავეთა შორის. სად ვპოვო, სად მშვიდობა და სიამე სულისა?

ოხ! ვინ იყავ, ვინ, რო წაგვართვი საუნჯე ჩვენი. ან ვინ იყავ, წყეულო არსო, რომელმაც დაგვადე კლიტე დუმილისა და უღელი მონობისა და ვინა ხარ. ახლაც, შენ, რომელიც გოლგოთას მთაზე გვაზიდვიებ წამების ჯვარს და რომელიც ჩვენივე ხელით გვაწერიებ საბედის-წერო სისხლიან სტრიქონებს... ვინ იყავ წინათ და ვინ ხარ ახლაც შენ, შავო აჩრდილო ბნელეთისა და სიკვდილისა?!...

რათ გველობები წინ, რათა გსურს დაჩდილო და დააბნელო მზე, მზე ყველასთვის თანაბრათ მანათობელი და სიცოცხლის მომნიჭებელი?

ან შენ, მეუფეო ჭეშმარიტ, ადამიანურ ქმნილებათა გამომსახველო, რათ არ ისმენ შენივე მფარველობის ქვეშ მყოფთა ხვეწნა-მუდარას, რათ არ ექომაგები მათ? ნუთუ მათი დამცირება, მათი გულის სიღრმიდან აღმომსკდარი კვნესა-ქვითინი თქვენამდი ვერ აღწევს? ნუთუ ის თოკი, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა სულის თთოლვით გამოაბეს საუკუნეთა სამრეკლოზე ჩამობმულ ზარს, შენ არ გამცნობს ჩვენს წუხილს, ჩვენს მწარე თავ-გადასავალს?!..

და, თუ ყოველივე გესმის, რისთვის არ გვექომაგები, რისთვის არ მიგვიძღვი წინ დასამსხვრევათ იმ ზღუდეთა, რომელიც აღმართულია ჩვენს წინ, ბოროტების ხელით, ბოროტების ცფიერი შემოქმედებით...

გამოგვეხმაურე, მეუფეო კაცთა არსებობისავ. გაგვეცი ხმა შენს თაყვანის მცემელთ. და შეიწირე ჩვენი წმიდა შესაწირავი და აღგვინთე გულში ძლიერი, დაუშრეტელი ცეცხლი ახალ ცხოვრების შექნისა.

მე, შენი სახით, მესიზმრება ამ ღამის წყვდიადში თეთრ-ფთიანი სიზმარი, რომელსაც სულის სილაღით ვხვდები და სულის ტკივილით-კი ვეთხოვები—მას.

ღამის შავ სიბნელეში შენ მყავხარ ნუგეშათ, შენ მასულდგმულებ, დიდების სახევ!. განთიადიდან შემოღამებამდი-კი ჩემ-თანამოძმეთა კვნესა-გოდებით ვითვისებ ქარიშხალი სებურ წინაამდეგობათა უძლეველ სტიქიას. მე თანამოძმეთა შორის ვიფარავ ჩემ თავს... და იქ ვივიწყებ ყოველივე წუთიერს და მივყვები უხილავის მგზნებარე სიმთა კვნესას... მე ვმღერი ამ სიმთა დამატკბობელ რხევაში გულწასულ ჰანგებს... ჩემს მოწამებრივ ჰანგებში მსურს ამეტყველდეს ყოველი არსი, უსულონი და სულიერნი. დაე, ღაღადებდეს თვით ქვათა ბაგენი, დაე, ჩემს მწუხარე ხმაში გაკივოდეს უხილავის ძლიერი ძალა, დაე, ბრძოლერდეს ფოთოლთა ქნარი წმიდა მორცხვობით აღსავსე ფსალმუნებს...

თვით უკიანის ქოთქოთა ზვირთებიც-ჩემში პოებდეს გამოსახულებას, დაე, მკვდართა სულებიც ჯოჯოხეთურ მოწამებრივობით ამქუხრდენ, ამ უსწორ-მასწორობის წინაამდეგ, რომელიც ახლა სულს გვიხუთავს.

მე ეს ასე მსურს... მე ვუგალობ-თავისუფლებას, სიყვარულს...

მე ვუგალობ შვენების წალკოტს, წალკოტს უკნობ მზეთა, წალკოტს ყვავილოვან სიტყურფეთა... მე ვერ ვითვისებ ნაცრის ფერათ მომღიმარ მზეს, ავარაყებულ სხივთა ჩანჩქერებით. მე ვეტრფი ჩემი მკვნესარე გულის თქმით ამაყურ და გმირულ მელოდიებს. მე მინდა შევანგრიო ციხის კარები, სადაც ჯალათთა ხელით ტყვეთ უქმნიათ ჭეშმარიტება და კაცთათვის წაურთმევიათ უფლებანი...

და როგორმე გავათავისუფლო მუდმივ ტყვეობიდან...

მე მივდივარ... რო მივადგე სამოთხის კარებს, და შევაღო კარები მისი ათთოლებულ სიმთა კვნესით და დავასვენო იქ დიადი დროშა **ძიებისა**, სისხლიან სტრიქონებით ამოქარგული და დაფარული... დაე, წაიკითხოს თვით კაცთა შემოქმედმაც უსტარი ჩვენი გაჭივრებისა. დაე, თვით ღვთაებაც ხედავდეს სინამდვილეს. თვით იმანაც დაინახოს ფარდა ახდილი სახე ჩვენი განსაცდელისა და ტანჯვისა...

მე იქ მივიტან საყვირს სამგლოვიაროს და ავამგლოვიარებ ედემურ სამფლობელოს. .

მე იქ მივიტან უმიზნოთ და უდროოთ დამჭკნარ ყვავილებს...

მე იქ მივიტან წმიდა სიყვარულის ზვარაკს, შესაწირავს. დაე, ისწავლონ — სიყვარულის დანიშნულება, არა ცფიერული, არამედ წმიდა ღვთაებრივი და მოწამებრივი... უკანასკნელათ-კი მივიტან ხალხის გულიდან აღმომსკდარ წყევას და გმობას და დავასვენებ იქ, საკურთხეველში, რო მან თვისი ღაღადისით არ მისცეს მოსვენება თვით შემოქმედსაც...

და, თუ ეს შევძელი, მერე-კი სხივთა კოცონით აგზნებული, სასხვერპლოზე ავიტან ჩემ დატანჯულ სულს და დავწვავ მას საქვეყნოთ... დაე, დაიწვეს... **ძიებაში** სული ჩემი.. დაე, ყოფნის სიმწვავემ გამოაქანდაკოს მასში ძიება ჭეშმარიტებისა და შეურყეველი ძეგლი დაუდგას მას საუკუნოთ...

ნ. ზენობნიელი.

1916 წ. 25 მაისი.

სულის ნავი.

ა.

ცრემლი მოჩქეფს... მწუხრის სიო
დასისინებს სისხლის ზღვაზე
ბ მის ზვირთებს, სისხლის ზვირთებს,
უხვათა შლის ქვეყანაზე.
მიწა-კი სდუმს-ის უგძნოა,
მხოლოთ ისმის სულის კვნესა,
ნათელს მუსრავს ბნელი ძალა,
სიკვდილი გმობს სიცოცხლესა.
იჭედება მონის ხუნდი,
იფერფლება მაშვრალთკერა;
ალ-ქაჯთ მიაქვთ ქვეყნის არსი,
სულის ლტოლვა, ბედის წერა.
სისხლის ტალღებს მიაქვს დროშა
აღივლივებს ობლათ შთენილს,
სულს უყივის, უძლევ კვერთხით,
მიწის სტუმარს, ცით აფრენილს.

ბ.

ცა-კი ელავს... ცის ლაჟვარდში
იცრიცება რიდე შავი;
ცის ცრემლთ ზღვაში, ფირუზ ზღვაში,
მიმოცურავს სულის ნავი.
შიგა მჯდომი ცეცხლსა კვესავს,
ელვასა ქმნის თვალთა ჩენა,
ცის მეხთ ლაშქარს· საბძოლველათ
მოუწოდებს სულსაზენა.
და ცეცხლის მფრქვევ უძლეველ კვერთხს
ატრიალებს ბძოლის ველზე,
გძნეულ ისარს შხამში ფერავს
ალ-ქაჯთ სტყორცნის კუპრის ბჭეზე.
ისმის გრგვინვა... ჯოჯოხეთის
ბურუსსა წვავს ელვის ზოლი,
შავ ემბლემას რისხვით დასჭექს
ცეცხლის მეხი, ციდან მსრბოლი...
ნავი მიქრის, ალიონის
სხივებს უძღვნის ქებათ ქებას,
მუსრავს წყვდიადს, ედემისკენ
მიაქროლებს სულთა კრებას.

მინა რაჭველი.

სიყვარული.

რათ უცემს გული გამალებით ამ ვაჟს და არის იგი სიხარულით აღსავსე-ალერსიანი, ან რათ მოიღუშვის იგი, კაეშან-მრისხვანებით, რათ ივსება შემოდგომის ცასავით დროგბით?

უყვარს ტურფა ასული... და გულის
განცდაა იგი!

— —

რათ მუშაობს ასე გამალებული ეს მუშა და ხმაროობს იგი ბარს, თოხს და ცელს დაუსვენებლივ, რათ იწურავს ცხელ ოფლის ღვართქლს დანაოჭებულ შუბლისგან?

უყვარს ოჯახი თვისი და სურს ლუკმა
გემრიელი მიაწოდოს მას!

— — —

რათ არის ეს ვაშაკაცი დამჭკნარი უდროოთ? სადაა ფერი მისი საამო, სიცოცხლის ცეცხლი თვალებში, მომკინა

იგლეჯს დალალ-კულულებს შვენებასა თვისსა?

უყვარს შვილი თვისი დ წინაგძნობა
აუწყებს მის დაკარგვას!

———

რათ მიილტვის იგი კაცი ტყის წიაღისკენ
და მიუპყრობს ყურს პიტალო ხავსით მოსილ
კლდიდან-კლდეზე მჩქეფარე ბროლის ჩანჩქერს,
ძირს, ქვევით უმწიკვლო ქაფათ ქცევა, რომ
უყვარს და მოწონს? რათ უმზერს ამომავალ
მზეს, ბწყინვალეების შარავანდედით გარემოცულს
და ადევნებს თვალს შეეერცხლილ თვარეს
ღრუბელთა შორის ეულათ მოხეტიალეს და
ვარსკვლავთა კრებულს, ცის კიდით-კიდემდი
მიმობნეულთა? რათ შლის ვარდის კოკორს
და ეწაფება გატაცებით თაიგულსა შვენიერს?

უყვარს სილამაზე და ილტვის
იგი მარათ მისკენ!

———

რათ ითფობს ეს გლახაკი დახეთქილ ხე-
ლებს, იღლიებ ქვეშ მუშტებათ რომ ამოუდვია
და იფარებს თვის მრავალ ნაჭერ და მრავალ
ფერ ფლასს ტიტველა კანზე და ეხვევა შიგ?
რათ აკაკუნებს კარს ყოველივე სახლისას ,და
რათ თხოვს, მიცენ მას ბინა რამ მცირე
თავ-შესაფრათ ამ ცივ ავდარში?

უყვარს სიცოცხლე და შიშობს,
განეშოროს მას სამუდამოთ!

———

ი. ხუციშვილი.

ქალ. დუშეთი. სოფ. ოძისი.

გძნობის ჩანგი.

ხან სევდიანს, ხან ბომღიმარს ხელთ მიპყრია გძნობის ჩანგი,
და ზედ ისმის ორ-ხმოვანი, ხან სევდის, ხან შვების ჰანგი...
ხან ბანს ვაძლევ, ხმას ვუერთებ მომავალის ტკბილ მოძახილს,
ხან ყურს ვუპყრობ კვნესა-გმინვას, ერის გლოვით გამოძახილს.
სული შფოთავს, გული დაკვნესს ძირს დაცემულს მაშვრალთ ბედსა,
ზიზღით გაცქერს მონის ხუნდებს, მონისავე განაჭედსა.
წელში მოხრილ შრომის შვილებს დახარხარებს მჩაგვრელთ გროვა,
ბუნების ლაღ სარეცელზე ხარობს, ტკბება მგელკაცთ ხროვა!
სოფლის შხამით განამწარი, ცისკენ ვილტვი, მიწის შვილი:
მსურს დავაშრო ცრემლის გუბე, მსურს გავწყვიტო ჯაჭვი სხვილი!
ხან შემიპყრობს მწარე ფიქრი, თვალს ვუშტერებ ტყე-მიდორ-ველს,
ის-კი მხოლოთ სისხლს მიჩვენებს, მიორკეცებს შხამს და ნაღველს!
მარა ამ დროს... გამიტაცებს სხვა ოცნების ტახტრევანი,
გულს აღმოხეთქს სხვა იმედი, სულ სხვა გძნობის შადრევანი....
სული ხედავს შვების წალკოტს, თვალწინ ბიდგას გარდაშლილი;
მოიმღერის მომავალი, სხივის ფრქვევით ფთა გაშლილი:—
მოვალ, მომაქვს ახალი დრო, დასათურგვნათ მტარვალთ გუნდის,
სხივის კონა ჩაგრულთათვის-დასამსხვრევათ მძიმე ხუნდის!..
გონება გულს სალამს უძღვნის, ამუსიკებს გძნობა ენას,
ოცნება ფრენს და ულოცავს სულსაც შვების აღმაფრენას!
ამ იმედით აყვავებულს, ხელთ მიპყრია გძნობის ჩანგი,
და ზედ ისმის ორ-ხმოვანი, ხან სევდის, ხან შვების ჰანგი.

დ. კუხისპირელი.

„ეგზა“

პიესა 4 მოქმედებათ და 5 სურათად, სოფლის ცხოვრებიდან.

მომქმედი პირნი.

გიორგი-35 წლ. სოფლის სკოლის გამგე—მასწავლებელი.
სანდრო-25 წლ. მეორე მასწავლებელი.
ელო-22წლ. მესამე მასწავლებელი.
სამსონ ზემოურელი-29 წლ. სოფლის ფერშალი.
დავით მოჩუბარიძე-26 წლ. აზნაური.
სიმონ კეთილაძე-30 წლ. გლეხი.
ნინო-45 წლ. სიმონის ცოლი.
გერმანე-28 წლ. ამათი შვილი.
ქეთო 18 წლ. გერმანეს და.
თედორე შრომაძე-30 წლ. სოფლის მეურნე.
გოჯასპირ ფარაძე-50 წლ. აზნაური, ყოფილი მილიციის „პრაპორშჩიკი“.
აპო 28 წლ. გოჯასპირის ვაჟი
თამრო-21 წლ. აპოს და.
სევასტი ღორმუცელაძე-35 წლ. სოფლის ჩარჩი.
ექვთიმე ცემაძე-38 წლ. სოფლის მამასახლისი.
თეოფილე კუჭიძე-სოფლის მწერალი.
მარინე-45 წლ. კეთილაძის მეზობელი ქალი.
გლეხები: გლახუნ, პეტრე დ ივანე.
სოლომონ-სოფლის ახალგაზდა—
სკოლის მოსამსახურე, ორი ნოქარი,
გადამხდიელი.

(მოქმედება წარმოებს გურიაში)

მოქმედება პირველი.

(სოფლის სკოლის ეზო. მარცხენა მხრით მოჩანს სკოლის აივანი, მარჯვენით-ორი დუქანი შემდეგი წარწერებით: პირველზე-„კოოპერატული სავაჭრო „წინ“, მეორეზე—„ბაკალეინი მაღაზია სევასტი ღორმუცელაძისა“. დუქნებსა და ეზოს შუა გადის სასოფლო გზა. ეზო შემოღობილია „რეიკებით“. შუა ადგილას დიდი მუხაა, რომლის ქვეშ, სასადილო სუფრა დგას, რამდენიმე სკამებით. ფარდის ახდისას, სუფრას უსხედან გიორგი და დავით და ნარდს თამაშობენ. სანდრო მიწოლილია მუხის ძირას, „ეშმაკის მათრახს“ კითხულობს და იღიმება. კოოპერატულ სავაჭროს წინ, ცაცხვის ქვეშ სკამეიკაა გაკეთებული იქვე დგას რგვალი მაგიდა, რომელზეც აწყვია ქაღალდები, საანგარიშო, საწერ-კალამი და საწერელი. სუფრას უზის გერმანე და ჩოთქზე ანგარიშობს. ღორმუცელაძე თავის მაღაზიის წინ. ზის და დავთარს ათვალიერებს.)

გერმანე (სავაჭროსკენ). სეფე, სეფე! (სეფე სავაჭროს კარებში გამოჩდება). სეფე, თუ ძმა ხარ, დახლზე რო შემოსავალ-გასავლის წიგნია, მომიტანე! (სეფეს გამოაქვს წიგნი, სუფრაზე დებს და ულან გაბრუნდება).

სევასტი (გერმანესკენ). ჰმ! აი, გლახის შვილი, აი! ერთი შეხედეთ, რავა პრინცსავით დამჯდარა და ანგარიშობს! მეიცათ, მეიცათ, ბიძია. მე თქვენ გაჩვენებთ. ვინაა სევასტიე ღორმუცელაძე. ბიჭი არ ვიქნები, თუ ადრე არ მიგიფშუკე მაი კოოპერატიაა, თუ რაცხა ჯანდაბა. (თავისთვის) გინახავთ ვინმეს მაგისანაი? სულ გამინიორწყალდა ვაჭრობა! ნისიათაც აღარავის მიაქვს. არა, რაცხა, თუ არ მოუხერხე მაგ კოოპერატიას, წახთა ჩემი საქმე და, აია! მარა, რო ვეფერი მოვუხერხე? რამდენს არ ვხლაფოთობ, რამდენს... მარა ერთი მუშტარიც ვერ ჩამუაშორე. აიო და ეს ჩვენი დუქანიაო, იქო ყველაფერს იაფად ვყიდულოფთო, შენ ტყავს გვაძროფო, მეტს გვახდევეიეფო და, რა ვიცი, რას არ ბოდავენ. არა და თქვენმა თავის გახეთქამ, ტყვილათ მოგვართმევთ! ჰმ, ჩვენი დუქანიო! გერმანაი, თედორიე და სიმონაი ძღებიან და ჩვენი დუქანიაო. თქვენი დუქანია ბოლოკის კუდი. მე და ჩემა ღმერთმა, ძალიანი-კი უთქვამს, ვიცხამ თქვა-ხალხი ჭურიაო, რასაც ჩაძახეფ, იმას ამოგძახეფს. (მის წინ გაივლის გლახუნ, თავს დაუკრავს და კოოპერატულ სავაჭროსკენ მიდის).

ბატონო გლახუნ, საით გაწიეთ მაქით?

გლახუნ. აქანაი მივალ, აგერ, ჩვენ დუქანში. ბალანაი მყავს რაცხა ავათ და ცოტა რალაცაი მინდა წევიღო.

სევასტი.—კი მარა, კაცო, რავა აი ცოტა რალაცაი-მეც ქი მომეძებნება და რალაი იქინე მიხვალ?

გლახუნ. -უფულოთ, ჩემო ძაია, არც შენ მომცემ რამეს და არც იქინე მომცემენ. ფულით-კი, საცხა მინდა, იქინე ვიყიდი (შებრუნდება და სავაჭროსკენ წავა).

სევასტი (მიმავალ გლაგუნს). გლახუნავ მეთქინ, გლახუნავ, მობრუნდი ერთ წამში, სიტყვა მაქვს, სიტყვა, მობრუნდი! გლახუნავ, მობრუნდი, გირჩევნია! (გლახუნ სავაჭროში შედის) ხომ კი? შენი ფშიკორიე ფეხები მაბა-

ნიე, თუ ერთი ძალიანი არ მოგბრეგვე ამ ცხელ გულზე! აპა, ვნახოთ, ვნახოთ! რაღაი სევასტიე ვარ, თუ შენისანაი მათხოვრები არ მოვარჯულე. გინახავს კაცს მაგისანაი? აფერი პატივისცემა მაგათთან არ გადის. ფული დაჭირდება ვინმეს, არ ვუკავებ, ყველას ხელს ვუწყოფ, ყველას ვეხმარები. მარა ჩემი მადლიერი მაინც არ არიან და არა. სევასტიე ტყავს გვაძრობსო, ნამთავნს ბევრს გვახდევიებსო და, რა ვიცი, რას არ ამბობენ! ჰმ, ცოტა ნამთავნით ფულს ვიძლევი და იმისი მადლობელი არ არიან. სწორეთ გადირია ხალხი, გადირია! ამ გლახუნას ხო მაინც უნამთავნოთ ვასესხე, აგერ, სამი თვეა, სამი მანათი? ვიფიქრე, ფულს ვასესხებ, პატივს ვცემ და ჩემთან რავა არ ივაჭრებს-მეთქინ. მარა ჭირმა არ წაგიღოთ, იმის მეტი, არც პატივისცემა გავიდა მაგასან, არც აფერი. მარა ახლა, თუ არ მომცა ჩემი ფული, რო მოვჯდები კისერზე, სულ ტყავს ავაძრობ! (გლახუნ გამოდის სავაჭროდან, ხელში ნავაჭრი უკავია და ღორმუცელაძის მაღაზიის წინ გაივლის. ღორმუცელაძე შეირბენს მაღაზიაში, გამოიტანს ბოქლომს, მაღაზიას დაკეტს და გლახუნს უკან გამოუდგება. (ცოტა ხნის შემდეგ, კულისებიდან მოისმის):

—„ფული მომეცი, გლახუნავ, ფული, რო გმართებს, თვარა ეგაა, მოვედი“.

—„სევასტიავ, სადამაქვს ახლა სამი მანათი? ვიშოვი, კაცო და მოგცემ!

—მომცემ, მე არ ვიცი! ახლავე ფული, გელაპარაკები, ახლავე მომეცი, თვარა მე ვიცი შენი! მაშ, არ იძლევი, არა? აპა, შე, ძაღლო, შენა, ესეც შენ! შენ გლახავ, შენა! (ისმის გლახუნის ყვირილი): „მიშველეთ, მიშველეთ“. (ყველანი გაოცდებიან, გიორგი, დავით და სანდრო სცენიდან გარბიან.)

გერმანე (წამოვარდება) სეფე, სეფე, შეინახე ესენი, თუ ბიჭი ხარ! (გარბის. გამოდის სეფე, გაკვირვებული იცქირება იქით, სიდანც ხმაურობა ისმის და, შემდეგ, წიგნები და ქაღალდები სავაჭროში შეაქვს. ცოტა ხანს სცენა ცალიერია, ხან და ხან სავაჭროს კარებში გამოჩდება სეფე. სცენაზე შემოდიან გიორგი და დავით).

გიორგი.—კიდემ კარქი, რო დროზე მოვუსწარით, თორე შენი მტერია, იმ საწყალობელ ბერიკაცს, მართლაც, დაახჩობდა მაი ღორმუცელაძე

დავით.—დაახჩობდა, ჩემო ძმაო და ახი იქნებოდა მაზე. ფული, თუ მართებს ყაზახს, რატომ არ აძლევს?

გიორგი. ჰმ, რა კაცი ამბობს? შენ ჩემი, აგერ, ერთი წელიწადია ხუთი მანათი გმართებს, მარა არ დამიხჩვიხარ!

დავით.—ჩვენი საქმე სულ სხვაა, გიორგი ბ მათი-კი-სულ სხვა. შენ, ხან ჩემი გმართებს და ხან მე მართებს შენი.

გიორგი.—არა, ძმაო, არა! მე შენი არას დროს არაფერი მმართებია და არც მემართება. ყოველ შემთხვევაში, კაცის ცემა და ისიც მოხუცებულისა შეუძლებელია, შეუძლებელი!

დავით.—ჰე, ახლა შენ „ნრავოუჩენიაზე“ ლექციას ნუ მიკითხავ, თუ კაცი ხარ! მე უფრო კარგათ ვიცი, ვის უნდა ცემა და ვის-არა. უმჯობესია ჩვენ საქმეს შევუდგეთ! (ნარდს აცქერდება) როგორ გინდა-ხელახლა დავიწყოთ, თუ განვაგძოთ?

გიორგი.—რა მენაღვლება, ხელახლა იყოს (ქვებს აწყობენ) გაგორება-კი ჩემია. დუ-შა-ში (კამათლებს აგორებს) ფუ, დუ იაქე! (თამაშობს).

დავით—(კამათლებს კოცნის). თქვენ გენაცვალეთ, კამათლებო, ერთი დუ-შაში მიწყალობეთ, დუ შაში! (კამათლებს აგორებს) ოჰო, ბეშ-დორთი! ესეც კარქია. (თამაშობს. გამოჩდება სანდრო).

სანდრო.—(გიორგის). გიორგი, მგონი, დროა ვისადილოთ! (დავითზე) მაგას, თუ უყურეფ, ჩემო ძმაო, მაი დღეს ათიკაციასა მიძუძგდება და ყველგან წეიბალახებს. მარა ჩვენ-კი ეს არ შეგვიძლია. (სანდრო და გიორგი იღიმებიან).

დავით. (სანდროს). შეგიძლია უკან დაიბრუნო მაი სიტყვები. მიძუძგება ვინმესას და წაბალახება თქვენ იცით და არა-მე!

გიორგი.—(სანდროს). ჯერ ადრეა, კაცო, წირვაც არ გამოსულა.

სანდრო.—ერთი ამას შეხედეთ! მე მშია და ეს წირვაზე მელაპარაკება, ვითომ დიდი ღვთის მლოცველი ვინმე იყოს.

გიორგი.—მეიცა, კაცო, აი, ამ ხელს გავათავებთ და ვისადილოთ.

სანდრო.—მე, აპა, სუფრას გავაწყობიებ, კარქი?

გიორგი.—როგორც გინდა!

სანდრო.—თომა, თომა! (სკოლის აივანზე გამოჩდება თომა).

თომა.—რას მიბრძანებ, ბატონო?

სანდრო.—თომა, არიქა, სადილი გვიშველე, თუ კაცი ხარ, სადილი!

თომა.—ამ წამში, ბატონო. (თომა უკანვე შებრუნდება. სანდრო მუხის ძირას ჯდება, გიტარას უკრავს და ამღერებს. თომას გამოაქვს ღვინიანი ბოთლები, ჭიქები, პური, წვადი, მოხარჩული კვერცხები და სხვა. ამ დროს, გზაზე გამოჩდება თედორე, სავაჭროში შედის, მაშინვე გამოდის და უკანვე გაბრუნდება. სანდრო მიირბენს სუფრასთან და მადიანათ დაიწყებს ჭამას. დავითი და გიორგიც ათავებენ თამაშს და სადილობენ).

დავითი. (გიორგის). შეხედე, შეხედე, ამ უბედურს, როგორ გამწარებით იბლაყნება? ნეტაი, მე არ შემჭამდეს და აფერი მინდა.

სანდრო.—(ჭამს). ჰმ, უბედურია.. შენ რაღა ბედნიერი ბძანდები, ა? (ღვინიან ჭიქას აიღებს) გაუმარჯოს ჩემს კარქს ბიჭობას, ჩემს ჭკუას და მახვილ გონებას! (დალევს). ალლაველდი შენთან, გიორგი!

გიორგი.—იახშ-იოლ, იახში-ვერდი... მხოლოთ, სანდრო, ნუ ხარ ყბედი!

დავით.—ვაშა, ვაშა, გიორგი! რავა ჩქარა შეთხზა ლექსი?

სანდრო.—(დავითს). შენ მაგას ასე ნუ ეხუმრები, ბიძია! მაგის ლექსებით ქართულ რედაქციების გოდრები გავსებულია, მართალს გელაპარაკები, მართალს, შენი თავი ნუ მომიკვტება!

გიორგი.—მაშ, არა და! საწყალობელს კი არ მიბეჭდავენ ლექსებს. არ გახსოვს ქე მაინც, ჟურნალ „ცეცხლში“, რამდენი ჩემი ლექსები დაიბეჭდა შეყვარებულის ფსევდონიმით?

სანდრო.—(სიცილით). როგორ არ მახსოვს, კაცო, როგორ? მგონი, ერთი ლექსი ასე იწყებოდა, (იგონებს) ცეცხლის ალში რო ჩამაგდე, რო ჩამაგდე ცეცხლის ალში, მითხარ, მითხარ, რას მერჩოდი, გენაცვალე მაგ თვალწარბში. ხომ ასე იწყებოდა, ა?

გიორგი—(დეკლამაციით). რას მერჩოდი, ტურფავ, მითხარ, რო შემწვი და რო მომხარჩე, სიყვარულით დამანელე, არც მომკალი, არც დამახრჩე.

სანდრო—ხა, ხა, ხა, სიყვარულით დამანელე, არც მომკალი, არც დამახრჩვეო... ნამდვილი გენიოსურია, ნამდვილი, შენ თავს ვფიცავ, დავით ელიზბაროვიჩ!

დავით—ოჰო, ეს მართალა კარქი ლექსი დაუწერია, ძმაო!

სანდრო—ჰო, მართლა, დავით, კარქი არ გამახსენდა? ა, ბიჭო, какразъ, შენი დუშკასთვის რო ლექსის მიწერა გინდა, ამაზე უკეთესს დამწერს, სად ნახავ, შე უბედურო?

გიორგი—ოჰო, ესეც ახალი ამბავი! (დავითს) მართლა ხომ არ გწვავს ვინმე, დავით?

სანდრო—კიდეც წვავს და კიდეც ხრაკავს, მარა ჯერ მაინც ვეფერი მოუხერხა მას, მაგ უბედურმა..

დავით—ნუ გენაღვლება-მე არც არავინ მწვავს და არც არვინ მხრაკავს. რაც შეეხება მოხერხებას „это позвольте мнѣ знать“..

გიორგი—(დავითს). ბიჭოს, შენ აღარ ხუმრობ, მგონი! იმედი მაქვს, მეტყვი-ვინ არი შენი მანათობელი ვარსკვლავი?

სანდრო—ჰე, როგორ არ იცი, კაცო! აი, ის ვარსკვლავია, რომელიც სიმონ კეთილაძის ეზოს ანათებს.

გიორგი—ოჰო, ჰო, ახლა-კი მივხდი! (ამოიღებს უბის ჯიბიდან კარანდაშს და ქაღალდს). მართლაც, რო ნამდვილი ვარსკვლავი მოგინახავს, ჩემო დავით, ნამდვილი! იმისანა ლექსს დაგიწერ, ბიჭო, ამისანას, რო, არ უყვარდე, მაინც შეგიყვარებს. (წერს).

დავით—(სანდროს). მეც შენისანა ვიყავი, რო ნამუსი გაგანდეე და რაღაი!

სანდრო.—ჰე, დავით ელიზბაროვიჩ, მაგი გენაღვლება! თუ კეთილაძის ქალი არ შეგიყვარებს, მე აგერ ვარ: მე შეგიყვარეფ!

დავით—შენ თუ შემიყვარე, კიდეც გაკეთ და ჩემი საქმე.

გიორგი- აპა, სმენა, ყმაწვილებო! (კითხულობს). ჩემო მზეო, ჩემო თვარევ, ქეთოვ, რატო გამამწარე? ჩამიხუტე მაგ გულ-მკერდში, მაკოცნე მაგ ტუჩებში და, თუ გინდა, მერე ცოცხლათ გადამაგდე სამარეში.

დავით—ბიჭოს, ეს მართლა ვარგებულა! (დაწერილ ლექსს გამოართმევს).

სანდრო—ხა, ხა, ხა. აკი ვთქვი, მეორე შოთა რუსთველია—მეთქინ. და, თუ გინდა, მერე ცოცხლათ გადამაგდე სამარეშიო"—შეუდარებელია, შეუდარებელი! (დავითს) მარა მოდი, დავით, ეს ტაეპი სხვაფერ გადავაკეთოთ, კარქი? აი, ასე: „და, თუ გინდა, მერე ცოცხლათ გადამაგდე ერთ ჭურ თხლეში. ხო კარქია, ა?

დავით.—არ არი საჭირო! თხლეში გადაგდება შენ გჭირია და არა—მე! (გზაზე გამოჩდებიან სამსონ და ელო. სამსონ გზაზე გაჩერდება, ელო-კი ჩადის ეზოში და მათთან მიდის.)

გიორგი.—აა, მობძანდი, მობძანდი Елена Гавріиловна! (დავითი სკოლაში შედის)

სანდრო—(ელოს).-აი, ახლა ვაპირობდი თქვენსას წამოსვლას და თქვენ-კი სხვაგან მიეშურებით! განა ეს შეიძლება?

ელო-(სანდროს). ძალიან უდროო დროს დაგირჩებოდა მოსვლა. ჩვენ ახლა სიძისას მივდივართ, ავათ ყოფილა და გვინდა ვნახოთ. თუ არ გჯერა, აი, კითხე ჩემ ძმას.

გიორგი (ელოს თვალის ქნევით).-ხედავ, Елена Гавріиловна, როგორ გეპარა თქვენი მომდურავი? მოდი, რაც იქნება-იქნება, შეურიგდი!

ელო-არას დროს! აპა, რა მაქვს საერთო ისეთ კაცთან, რომელიც შრომას გაურბის და საზოგადოებას აფერს არგია? მართალი გითხრა, თქვენზეც ძალიან გულ-ნაკლული ვარ, რო მაგისანა ადამიანს იახლოვებთ,..

გიორგი.-არ ვიცი, ღმერთმანი, რას უნდა ვერჩოდე მაგ კაცს? ჩემთვის მას ჯერ აფერი არ დაუშავებია.

ელო.-კერძოთ არც ჩემთვის დოუშავებია რამე, მარა მაინც არ მომწონს მაგფერი მუქთახორები.

გიორგი (სამსონისკენ).-სამსონ, ჩამოუხვიე, კაცო, აფერი გიჭირს, ერთი ჭიქა ღვინო დაგვილიე!

სამსონ—გმადლობ, ცოტა მეჩქარება! (ელოსკენ) მივდივარ, ელო, დამეწიე! (მიდის).

ელო (გიორგის).-გიორგი, თუ ძმა ხარ, რაღაც მინდა გთხოვო და ნუ გამაწბილებ. თქვენს მაგიდაზე დღეს ჩემი მოსწავლეების რვეულები დავტოვე და რამენაირათ გასწორე. შეიძლება გვიან დავბრუნდე, თორე არ შეგაწუხებდი.

გიორგი—Съ большимъ удовольствіемъ, Елена Гавріиловна! აპა, ეს რა შეწუხება უნდა იყოს? მაინც და მაინც, თუ გაუსწორებელი დარჩება, ничего не значитъ.

ელო—არა, გიორგი, მაგი არ შემიძლია! ხვალ წერის გაკვეთილი მაქვს და რვეულები, უსათუოდ, გასწორებული უნდა დამირჩეს.

გიორგი.—კარგი, კარგი, Елена Гавріиловна. მაგაზე ნუ სწუხართ. მე, როგორც თქვენი უფროსი, უნდა დამიჯეროთ.

სანდრო.—Не безпокойтесь, Елена Гавріиловна! თუ გიორგი არ გასწორებს, მე მზათ ვარ თქვენი სამსახურისთვის.

ელო.—გმადლობთ. მარა თქვენზე იმედის დამყარება არ შემიძლია.

სანდრო. - რათა, რათა, Елена Гавріиловна, ისეთი რა დავაშავე?

ელო.—დაშავებით არაფელი, მარა ცოტა გულ-მავიწყი ბძანდები და, შეიძლება დაგავიწყდეს! (მიდის).

სანდრო (მიმავალ ელოსკენ)—Вы меня оскорбляете. Елена Гавріиловна, оскорбляете!

ელო (გზიდან). შეგიძლიათ მიჩივლოთ! (ცოტა ხნის შემდეგ, გზაზე გამოჩდებიან გოჯასპირ და რამდენიმე ბლეხი.)

სანდრო გურული.

(შემდეგი იქნება.)

ისევ ბნელა.

ისევ ბნელა, ისევ ღამეა,
წყვდიადს მოუცავს სამყარო ცისა,
არსაით შველა, არსით იმედი,
არც მეგობარი, გამცემი ხმისა...

*
* *

კვნესის მიდამო, კვნესის ბუნება,
კვნესის ჩაგრული, შემყურე დღისა,
სისხლისა ზღვები ინთხება ქვეყნათ,
კაცი არ არი, გამცემი ხმისა!..

*
* *

აგერ, საწყალი, საბრალო ქალი;
ხალხს შემოსტირის, გულ ამომსკდარი;
მომეცით რამე... მომეცით პური...
ქმარი მყავს ომში, გულ-განგმირული...

*
* *

ისევ ბნელაა, ისევ ღამეა,
ისევ ცრემლები, ტირილი კვნესა,
ისევ იტანჯვის ჩაგრული ხალხი
კაცი არ არი გამცემი ხმისა...

კ. მიმქრალი.

ქ. გორი.

რედაქციისგან.

„ქალალდის შიმშილობა“ ნამეტანი საგძნობი შეიქნა და რედაქცია იძულებულია ამ ზაფხულის თვეებში, სეკტემბრამდი, თვეში თითო ნუმერი სტამბოს. ასეთს ჩვენს ულნებლიეთს წყობრი მუშაობის არევ-დარევას ეურ. „ცხოვრების“ დიდათ პატივცემული მკითხველები კარგათ გაითვალისწინებენ და გვაპატივებენ.

კრიტიკა.

ჯაჯუ ჯორჯიკია.

(სილამაზის შეგძნობა.)

ჯაჯუ ჯორჯიკია მწერალი არ არის. იგი მხატვარია.

მხატვრობის სპეციფიურობა-კი სიტყვაში არ გამოიხატება. მას მრავალფეროვანი საღებავებით სავსე პალიტრა უნდა; რათგან მხატვრობა ჩვენ სულიერ მოძრაობას, დრამას-კი არ ხატავს თვის მთლიან მიმდინარობაში, არამედ მხოლოთ ერთ ნაკვთს, წუთს გამოსტაცებს ხოლმე. ტრაღიული განცდით სავსე და სილამაზის თხელი სამოსით დაბურვილ ცხოვრებას დასამარადისოს შეღერთებს. აღბეჭდავს ერთ წუთს. ადამიანის სულიერ მღელვარებას ცივ მატერიაში გაახვევს. ასეთია მხატვრობის განსაკუთრებულობა.

ჯორჯიკიას „სამხატვრო დაზგაზე“-კი მხოლოთ მოქნილი სიტყვაა. სიტყვა მხატვრობას ვერ შეიქმს. იგი მხოლოთ გადმოქვცემს მხატვრული სურათის, პეიზაჟის სიშვენიერეს.

ჯორჯიკიას მხატვრულ აღღოს ის უფრო ამტკიცებს, რომ იგი წუთების გამომხატველია. ამ მხრივ, იგი ნამდვილი იმპრესიონისტია. მუდამ მოძრავი ცხოვრება მხოლოთ თითო წუთებიდან შედგება, ადამიანის ტრაღედია-კი ერთ მთლიან გრეხილს წარმოადგენს, რომელსაც, თითქოს არც დასაბამი უჩდეს და დასასრულიც წყვდიადში იფანტებოდეს. ამ ტრაღედიის გამოსახვა მხოლოთ დიდ დრამატულ ნაწარმოებში, თუ შეიძლება, სადაც გმირის ხასიათის გავითარება ჩანს, მოძრაობა და შებძოლება ცვლიან ერთმანეთს.

ჯორჯიკიას ასეთი რთული ფსიქიური განცდის გამოხატვა არ შეუძლია, რათგან იგი, როგორც ვთქვი, მხატვარია, რომელსაც სიტყვის საშვალებით გადააქვს წუთები იმ ტრაღედიისა, რომელსაც ადამიანთა ცხოვრება ეწოდება. მარა ხელოვანის სიძლიერეც იმაშია, რომ ამ ერთ წუთს ფსიქიურ განცდისას, ისეთი სიმარტივით და ხშირათ გულუბრყვილოთაც გამოხატავს ხოლმე, რომელიც შეიძლება მთელი დრამატულ ნაწარმოებში არ გასახულიყო. ამ მხრივ, მისი პატარა მინიატიურები, დიდ აზრს გამოხატვენ.

საქართველოს უკანასკნელი ათი წელიწადი ესთეტიზმით ხასიათდება. მარა იგი ესთეტიზმი უფრო სტიქიური და ბუნდოვანი გამოსახვაა, ვიდრე შეგნებული შეგძნობა სალამაზისა. ეს მოვლენა-კი ჩვენი სინორჩით და გულაჩუყებულობით მართლდება. ჩვენი მწერლები და

მგოსნები სილამაზის გძნეულ მორევში ლივლივებენ. მარა ვერც ერთმა მათგანმა ჯერ ვერ მოგვცა საკუთარ ფსიქიკაში განცთილი თეორია სილამაზისა. ჩვენი ესთეტიზმი, ესთეტიურ თეორიის გარეშე დარჩა.

ევროპის დასავლეთმა ძლიერ ნაზი ესთეტიკოსი გვაჩუქა, რომელმაც მთელი ეს ყოველ დღიური ცხოვრება ხელოვნებიდან გამოიყვანა. ეს ქურუმი **ოსკარ უაილდია.** ბევრმა შეაფარა თავი მისი სილამაზის სხივთა ოცნებაში, ბევრმა წამოისხა იმისი დენდური „პლაშჩი“. მარა ხშირათ მის არისტოკრატიზმით სავსე კალთების რხევაში, მხოლოთ ტლანქი სიმანხინჯე იმალებოდა. რაშია საქმე?

სილამაზის შეგძნობას ორი განსაკუთრებული თვისება ჭირდება. ეს არი დინჯი დაკვირვების უნარი და აღმოსავლეთური ჭვრეტა სამყაროსი. ეს ორი თვისება ხშირათ გადილახება ხოლმე ჩვენი ესთეტების მიერ. დაკვირვების უნარს, ყმაწვილური გულაჩუყებულება არღვევს და წმიდა ჭვრეტას-კი თავ შეუკავებელი შიჭრა სილამაზის სხეულში. ამ მხრივ, თანამედროე მწერლებში ყველაზე უფრო ჯორჯიკია გამოირჩევა. მან სხვაზე უფრო ცხადათ და გარკვევითაც შეძლო სილამაზის ბუნდოვან მისწრაფებისთვის გარკვეული სახეები მიეცა და თვისი საკუთარი ფსიქიკით განცთილი ესთეტიური თეორია გამოესახა. ამისთვის მას შესწევს, როგორც დინჯი დაკვირვების უნარი, აგრეთვე აუღელვებელი ჭვრეტაც.

როგორი არი ჯორჯიკიას ესთეტიური თეორია? სილამაზის გასაკუთრებულ თვისებას მისი მატერიალობა შეადგენს. თუ სილამაზის იდეა არ არი გასახული მატერიაში, ისე იგი იდეა შეუგძნობელი დარჩება ჩვენთვის. ამიტომ სილამაზე ეჭიდროთ არი დაკავშირებული ისეთ ხელოვნებასთან, რომელსაც საქმე მატერიასთან აქვს, მაგალითად, მხატვრობა, არქიტექტურა, ქანდაკება და სხვა. ჯორჯიკია ბუნებით უფრო მხატვარია, ვიდრე მწერალი და მისი სილამაზის შეგძნობაც ყოველთვის მატერიალურ სახეში არი გახვეული. მარა იგი ამ სალმაზეს-კი არ ქნის, როგორც ნამდვილი მხატვარი, არამედ სიტყვის საშვალებით გადმოგვცემს სილამაზის სურათს. ჯორჯიკია მასთანვე, როგორც ნამდვილი შემგძნობი სილამაზისა, მხოლოთ გაჭვრეტით კმაყოფილდება. გაჭვრეტით-კი ჩვენ მხოლოთ სახეს ვხედავთ, ვით ცივ მარმარილოს ქანდაკებას და მის შინაგან სულიერ მღელვარებას არ განვიცთით. ამით აიხსნება, რო მისი სილამაზე წმინდა ფორმალურია, რომელსაც მხოლოთ გარეგან სახესთან აქვს საქმე და მის შინაგან სფეროში არ იჭრება. ფორმალური სახე სილამაზისა ძლიერ შემოფარგლულია, თუ შინაგანი სულიერი მოძრაობაც არ შეიტანა ხელოვანმა. ფორმა მისი ხშირათ ერთგვარ არმონიაზე და შეზავებაზე იქნება დამყარებული. ძლიერ ხელოვანს შეუძლია გასწიოს ვიწრო ფარგალი ფორმალურობისა. მარა მხოლოთ ძლიერს. ჯორჯიკიას სამხატვრო პალიტრა-კი ძლიერ ღარიბია საღებავებით, მისი მხატვრული ოცნება-კი შემოფარგლული. გარეგანი სახე სილამაზისა, თითქმის ყოველთვის ერთ ფერებში ეხატება: წარბები ყოვლთვის „შვილდივით არი მოღუნული“, თმა „გიშრის ფერი“, კბილები და ხელები „სპილოს ძვლისგან ნათალია“.

მოძრაობის შეტანას ხელოვნებაში ჯორჯიკია უარყოფით უყურებს, რათგან მოძრაობა ყოველთვის შლის სილამაზის გარეგან ნაწილების არმონიას. ამ მხრივ, ჯორჯიკია ნამდვილი ეულინია, რომელიც სილამაზის გამოსახატავათ, ისე არაფერს არ აფასებდა, როგორც არმონიას და სიმეტრიას. მხატვრისთვის ეს მით უფრო სავალდებულოა, რო მას საქმე აქვს უფრო სივრცესთან, ვიდრე დროსთან. მოძრაობა-კი, როგორც პროცესი დროში სრულდება და არა სივრცეში. და იქ, სადაც ირღვევა ეს კანონი, ხელოვანი ყოველთვის ტრაღედიას განიცდის.

ასეთია ჯორჯიკიას მინიატიურა „დაღუპული უკვდავება“. ნიჭიერი მხატვარი წარმტაცი ტბის ნაპირზე ყოველ დღე დაიარებოდა და მისი სიშვენიერე ტილოზე გადაქონდა... ნახატი საუცხოო გამოდიოდა და აფთოვანებული მხატვარი, კალმის ყოველი მოსმით,

თვის უკვდავებას უახლოვდებოდა. „მარა ერთ სალამოს, როცა მხატვარი ჩამავალი მზის სხივების სიკეკლუცეს ხატავდა, ტბაზე, უცეფ თმა გაშლილი ქალი შიგ ჩაეშვა, გამჭვირვალე და წყნარი ტბა ამაძრავდა, მის ზედა პირზე წყლის ფართო რგოლები დაცურავდა. ამის შემდეგ-კი, მხატვარი ტილოზე ტბის სიკეკლუცის გადაღებას ბევრი ეცადა, მარა ვერ შეძლო!!.

სილამაზის შეგძნობა მხოლოთ გაჭკრეტაზე არი დამყარებული. იქ, სადაც ირღვევა შორით ჭვრეტა და ადამიანი იჭრება სილამაზის სხეულში, მის სიშვენიერეს მყისვე შავი ქაოსი ფლობს. ადამიანის სიახლოვის, ისე არაფერს არ ეშინია, როგორც სილამაზეს... სილამაზე მიუკარებელი და დამოუკიდებელია. თუ გსურს, დატკბე მისი სიშვენიერით, უმზირე შორიდან, რათგან სიახლოვე ხშირათ გულსაც კაწრავს და დაკოდილი ემშვიდობები მის სამფლობელოს. დაშორებული-კი სილამაზეს, მისი გძნეულება დამოუკიდებლათ და მოურიდებლათაც სრულის ხატებით იშლება შენ წინ. ჭვრეტა იგი ყოველთვის უინტერესოა. მოხიბლული მარსი ქალის სილამაზით, ცეცხლის მფრქვევ თვალებს შორიდან აპყრობდა, მის არსებაში, გარდა უინტერესო ჭვრეტისა სილამაზისადმი, სხვა არაფერი ყოფილა. და იგი, ღვთიური გულ უბრყვილობით უპასუხებს ვენერას,—„როგორ? მე ხო შორიდან ვუმზერდი... შორიდან.. წაიბუტბუტა მარსმა და თვალები ძირს დაუშვა.—საქმეც ის არი, რო შენ სილამაზით ტკბობის ნამდვილი საშვალებისთვის მიგიმართავს, აღელვებით მიუგო ვენერამ“ (შორით მზერა).

ესთეტიკის ფარგლები ძლიერ გაფართოვდა მას შემდეგ, რაც დიადმა კანტმა **დიადობის** (возвышенное) შეგძნობაც შეიტანა შიგ. მის შეგძნობას, უსათუოდ, ვაშკაცური სული ჭირდება. ვისაც ეს თვისება აკლია, მისთვის გაუგებარი დარჩება დიადობის სილამაზეც. იფიქრებდი კაცი, რო დიადობის შეგძნობა უფრო ძლიერათ ქართველ ერში უნდა ყოფილიყო. ჩვენმა წინაპრებმა ორი თვისება განამტკიცეს თვის დიად ისტორიულ ცხოვრებაში. ეს არი **ხასიათის სიმტკიცე** და **სულიერი სიამაყე**. ეს ორი თვისება, რომელიც აუცილებელია დიადობის შეგძნობისთვის, ჩვენ ულირსათ დავახშვეთ. დღეს ნაცვლათ ხასიათის სიმტკიცისა, სუსტი ნება გვფლობს, ნაცვლათ ამაყი სულისა, მონური, ლაჩრული სული. ძლიერ სუსტია დიადობის შეგძნობა ჯორჯიკიას შემოქმედობაშიაც, რათგან მისი პიროვნება უფრო ქალურ სინაზეს ატარებს, ვიდრე მტკიცე, რაინდულ იერს. მარა, მის ზოგიერთ მინიატიურებში, მისი სუსტი ნაკვთები მაინც ჩანს....

ასეთია ყარამანი,—ეს ნამდვილი რაინდი, და ვაშკაცური გძნობით აღვსილი. ვერავითარმა ქრთამმა, ოჯახის გაჭირვებამ, ცოლის ანგარიშზე აგებულმა მუდარამ ვერ გატეხა მისი გძნობა რაინდობისა. თუმც იგი ძლიერმა სულიერმა ბძოლამ შეიპყრო.

„ყარამანმა ხალხისკენ გადიხედა, მაღლობზე ნესტორი შენიშნა, რომელსაც ხელში ცხვირსახოცი ეჭირა და... გაახსენდა პირობა.... გაახსენდა თვისი სნეული ცოლი... შიმშილისგან გაყვითლებული ბავშები. გაახსენდა ავათმყოფი, ფერმიხდილი თამარი... წარმოიდგინა მისი ტანჯვა, წვალება. გაახსენდა ისიც, რო სადავეს ერთი მოწევა და... „მერცხალა“ შეფერხდება, “თერგი“ გაუსწრებდა და... სამას მანათს მიიღებდა. ცოტათ შეათამაშა მან აღვირი... მარა ამ წუთს **გულში რაღაც ახალი გძნობა დაებადა**. გძნობა, საოცარი საიდუმლო, გძნობა, რომელიც მას ძალას ატანდა გადაელახა პირობა, სიღარიბე და თვით ცოლშვილის სიყვარულიც. ამ გძნობამ იგი დაიმორჩილა, დაიმორჩილა, როგორც მიმინო იმონებს ღონემიხდილ წყერს, და სწორეთ **იმ** ადგილს, სადაც სადავე უნდა შეეშალა, სადაც „მერცხალა“ უნდა დაეჩაგრა საყვარელ მერანს, სადავე უფრო მიანება, გადიხარა წინ და ყურში ჩაძახა: „გასწი, ჩემო „მერცხალა“! ისარივით მოწყდა „მერცხალა.“ წუთი... ორი წუთი და... გამარჯვებულ „მერცხალას“ა და ყარამანს ხალხი ტაშის ცემითა, ვაშას ძახილით და მუსიკის გუგუნით მიეგება.

ეს პატარა მინიატიურა, მკთალი ნაკ-

ვთია რაინდული გძნობისა. ამბავი, ჩვეულებრივ ცხენთა დოლს არ გაცილებია. მარა იგი მაინც ღრმათ ჩამაფიქრებელი და ფრიად მიმზიდველია. ყარამანის „საიდუმლო გძნობა“ ფართედ იშლება თვალწინ. ეს გძნობა მიხატავს ფიქრთა მთელ გრეხილებს. იგი „საიდუმლო გძნობა“ მხოლოთ რჩეულთა გძნობაა, რომელიც ლახავს ყოველგვარ ცხოვრების მშრალ ანგარიშზე აგებულ მისწრაფებათ. ეს გძნობა, რომელსაც შეიძლება „რაინდული გძნობა“ ვუწოდოთ, პირველი და აუცილებელი ეტაპია „დიადობის“ სილამაზის შეგძნობისა. „დიადობის“ გძნობა ფართედ გადაგვიშალა კენიგსბერგის ფილოსოფოსმა. რაში მდგომარეობს „დიადობის“ სპეციფიურობა?

„დიადობა“ სივრცითა და დროით არ გაისაზღვრება. მისი საზომი მხოლოთ ერთად ერთი ვიწრო სუბიეკტივური და წმინდა ესთეტიურია. ლოგიკურათ და მათემატიკურათაც ჩვენ მხოლოთ **დიდი** საგნის შეფასება შეგვიძლია. მარა **დიადობა დიდი** არ არი და მისი შეგძნობაც საგანთა გარეშეა. დიადობა ჩვენი სულიერი სიმაღლეა. მისი შეგძნობა მხოლოთ ადამიანს შეუძლია, როგორც გონიერ არსებას. და ჭეშმარიტათ, ამბობს კანტი, დიადი არის ის ადამიანი, ვინც მაღლდება გონებრივათ და ფართედ შლის თვის მორალურ „მე“-ს გძნობელობაზე.

ვინც ვაშკაცი არ არის, ის ვერც იგძნობს „დიადობას“ და, ვისთვისაც დიადობის გძნობა დახშულია, მისთვის შეუცნობელი დარჩება ტრაღედიის სილამაზეც...

ტრაღედია მხოლოთ ერთი გამოსახვაა დიადობისა. მიუხედავათ ჩვენი დალაჩრებისა, ჩვენში კიდევ შესაძჩნევათ ფეთქს რაინდული, ვაშკაცური სული. მარა, მიუხედავათ ამისა, საქართველოში ტრაღედია არ შეიქმნა. ხშირათ ამბობენ, მთელი ისტორია საქართველოსი,— ეს მთლიანი ტრაღედიის გამოსახვაა. მარა ამ ტრაღიულმა განცდამ ხორცი ვერ შეისხა. ჩვენ არ მოგვეევლინა ისეთი მწერალი, რომელსაც ქართველი ერის გმირნა ზეჩაკონების მუსიკალურ აკორდათ გადაშლილ იყოს, - და მისი დანთხეული სისხლი მხატვრულ საღებავათ ეხმაროს.. ჩვენი დიადი მწერლები, ილია და აკაკი, მხოლოთ თვისი ცხოვრებით თუ ქმნიდენ ძლიერ ტრაღედიას. მარა მათ მიერ შექნილ ტრაღედიას გამომსახველი არ გაუჩდა... პირველმა თვისი სისხლი დაანთხია, რომ იგი სისხლი მომავალ მხატვარს საღებავათ გამოდგომოდა. მარა ჩვენ ლაჩრები, დანთხეულმა სისხლმა მხოლოთ შეგვაშფოთა და დიადი იგი ტრაღედია სრულიათ განუცთელი დაგვრჩა...

მეორე მგოსანი-კი სულ მუდამ გამტყდარი სახით გამოიყურებოდა და ისე ჩავიდა სამარეს, რო მთლიანობა არ უგძვნია...

მიზეზიც ტრაღედიის უქონლობისა, უსაოთუოდ, ჯერ ისევ ჩვენ გონებრივ სინორჩეში უნდა მოვძებნოთ. ტრაღედიის შეგძნობას არა თუ მარტო რაინდული სული ჭირდება, არამედ ძლიერი ფსიქოლოგიური გაღრმავებაც. ეს უკანასკნელი ჩვენში ძლიერ პრიმიტიულია და, ვიდრე ფსიქოლოგიურათ არ გავაღრმავებთ ჩვენ ტრაღიულ განცდას, მანამდი ვერ ვიხილავთ ვერც ქართველ მაკბეტს, ვერც იჭვიან ოტელოს...

ამის ანალოგიურ მაგალითს ძველი რომაეთი იძლევა. ძველი რომაელი და ძველი ქართველი საკვირველ მონათესავე ტიპს წარმოადგენენ. ორივე რაინდია სულიერათ და ძლიერი-მეომარი. ორივ ფხიზელი გონებით, და მოსწრებული სიტყვა პასუხით, რომელნიც უფრო ანდაზებითა და ზმებით ლაპარაკობს, ვიდრე დინჯი მიჯრილი საუბრით. ორივ მოყვარული ირონიისა და მოსწრებული ხმა-კიდურებისა და ორივ მხიარული და გაშლილი ბუნების, რომლის სიმხიარულეს სუფრაზე ამკობდა მუსიკის მკვნესარე ხმა და აფთოვანებული ჭერმეტყველება ტოლუბაშისა... და ყველა ამ თვისებებთან ერთად, საოცარი გულცივობა ტრაღედიისადმი...

რომაელები მწყურვალეთ დაეწაფენ ძველ ელლინთა კულტურას. მარა მათი ტრაღიული გმირები და მწერლები ყრუთ დარჩენ რომაელთათვის. ივინი უფრო მეტის ენტუზიაზმით უცქერენ რომელიმე მიმის, ან და გისტრიონის მანჭვას, ვიდრე ტრაღიული გმირის ძლიერ სულიერ განცდას ფიქრთა გრეხილი კიდევ

შეიძლებოდა გამეგძელებია და დამეხატა ის შედეგები, რომელიც მჭიდროთ არის დაკავშირებული რაინდულ გძნობასთან, მარა ეს, ერთი შეხედვით, ჯორჯიკიას ესთეტიურ თეორიის გარეშე დგას და, ამიტომაც, პირდაპირ საგანს ვუბრუნდები.

სილამაზის გძნობა წმინდა სუბიეკტივურია. მარა მასთანვე ერთგვარ უნივერსალურ და საყოველთაო იერს ატარებს. სილამაზის გძნობა არსებობს ყველა ადამიანში, რა საფეხურზეც უნდა იყოს მათი კულტურული მდგომარეობა. მხოლოთ სილამაზის სიშვენიერის გაგება და მისი სიძლიერე — ესთეტიურ გავითარებაზე არი დამოკიდებული. ხელოვნებაში დასახული სილამაზე ორგვარია: წმინდა ფორმალური, რომელიც მხოლოთ გარეგანი სახის არმონიას შეეხება, და მეორეს-კი, შეგვიძლია იდეური ვუწოდოთ, იმდენათ, რამდენათაც იგი არა თუ მარტო გარეგანი ფორმის სიმეტრიას მისდევს, არამედ უფრო მის შინაგან იდეურ გამოხატვას.

თანამედროე ხელოვნება უფრო იდეურია, ვიდრე ფორმალური. მისი მიზანი მხოლოთ ერთად ერთია. სავსებით გამოაშკარავოს შინაგანი მხარე სილამაზის საგნისა, თუმც ამ გამოაშკარავებამ გარეგანი სახის სიმეტრიაც დაარღვიოს. ამ მხრივ, თანამედროე ხელოვნება ძლიერ დაშორდა სილამაზეს. მაგ. აიღეთ როდენის ბრინჯაოს ქანდაკება „**შეიარაღდით**". ეს ნახატი ნამდვილი ომის გენია არი. მისი სახის გამომეტყველება აღაგზნებს, როგორც სიკოცხლით სავსე ჭაბუკს, ისე სამირის კარზე მისულ მოხუცსაც. მას შეუძლია ათასგვარი იდეები დაბადოს ჩვენში. მარა არას დროს ჩვენ იგი სილამაზეს არ გვაგძნობიებს. რათგან სილამაზის სპეციფიურ იბა მისი გარეგანი სახის ნაწილების სიმეტრიასა და არმონიაშია და იქ, სადაც ირღვევა ეს სპეციფიურობა, იკარგება სილამაზეც... სულ სხვაა ძველი ელლინური ხელოვნება. მათი შეგძნობა სილამაზის წმინდა ფორმალურია. ძველი ელლინი ამ სილამაზისთვის, ისე არაფერს არ აფასებდა, როგორც სიმეტრიას და შეწონილებას. ამნაირი იყო არისტოტელის ესთეტიკა და ასეთივე არმონიულათ იშლებოდა პითაგორასის შემეცნებაში სოფლიო, რომელმაც მთელ სოფლიოს მუსიკალური რიტმი დაუდვა საფუძვლათ..

ელლინურ სილამაზეს ფარდა ახადა დიადმა გოტგოლდ **ლესინგმა** თვის „ლაოკოონ"ში" და მას დამოუკიდებლათ მიუახლოვდა **ემანუილ კანტი**, რომლის აზრითაც სილამაზის გძნობას მხოლოთ წმინდა ფორმალური და უინტერესო კმაყოფილების აღძვრა შეუძლია ჩვენში.

არ შეიძლება ითქვას, რო ეს ორგვარი ხელოვნება ერთი და იგივე უნივერსალობის თვისებებს ატარებდეს. თანამედროე ხელოვნების გაგებას ძლიერი ესთეტიურ-კულტურული გავითარება ჭირდება, რათგან ეს უკანასკნელი, როგორცა ვთქვი, იდეურათ არი დახატულ-დატვირთული.

სულ სხვაა ელლინური პლასტიური ხელოვნება. მას საქმე მხოლოთ სილამაზესთან აქვს და სილამაზეს, მიუხედავათ მისი სუბიეკტივური თვისებისა, ფართე უნივერსალური ხასიათი აქვს. აპოლონ ბელვედერელის, ან ვენერა მილოსელის სიშვენიერე დაატყვევებს არა თუ მარტო ესთეტიურათ გავითარებულ ადამიანს, არამედ უბრალო უბირ მუშასაც.

ამ მხრივ, ჯორჯიკია უფრო ელლინურ სილამაზის შეგძნობას უახლოვდება. ეს მან სხარტათ გადაგვიშალა პატარა მინიატურაში — „**ხელოვნება**". "სურათი ტბის ამწვანებულ ნაპირას მდგარ სილფიდას წარმოადგენდა. თმა, რომელსაც ხალასი ოქროს და ორი ფირუზის გვარი თვალი ქონდა. მის სახეს, კანის მაგიერ, ქარვის ელვარება დათამაშებდა. ნიჭიერ მხატვარს ამ ახალგაზდა ქალის **მოყვანილობა და მოქნილობა ერთმანეთისთვის ისე შეეთანხმებია**, რო გეგონებოდათ, ტურფა ასული ტილოდან გადმოხტომას აპირებსო". აი, ამ ძვირფასმა „სურათმა ერთგვარი ენტუზიაზმით აღაგზნო განათლებული ფრანგი და ველური ზანგი; ორი მოწინააღმდეგე პოლიუს ზე მდგარი პიროვნება.

მარა სილამაზის გძნობა არა თუ მარტო კმაყოფილებას გვაძლევს ჩვენ, არამედ იგი ერთ ად ერთი მთავარი საშვალებაცაა ადამიანის

პიროვნების ასამაღლებლათ, მის გასაფაქიზებლათ. ისე ვერაფერი ვერ აყუჩებს ადამიანის მხეცურ ინსტიკტებს, როგორც დამატყვეებელი ძალა სილამაზისა. ეს თვისება სილამაზისა კარგათ აქვს შემჩნეული ჯორჯიკასაც. შვენიერი ჭაბუკი, რომელიც ყვავილების თაიგულით ხელში, მზის ჩასვლის დროს, ბუნების საუცხოო სილამაზით ტკბებოდა, მკვლელობას ვერ ჩაიდენდა. განრისხებული მეფე, რომელიც მზათ არი სიკვდილით სასჯელი მიუსაჯოს ჭაბუკს, უცეფ თავს იკავებს, შვენიერი ჭაბუკი თაიგულით ხელში მის სახეს ლმობიერებით ავსებს და... სილამაზის სისპეტაკეს უხატავს.

„ჭაბუკი გაათავისუფლეთ, რათგან იგი ყრმა, ახალგაზდა, რომელიც თაიგულით ხელში, მზის ჩასვლისას, ბუნების ათას ფეროვან გამოხატულებითა ტკბება, ადამიანის სისხლს ვერ დააქცევდა, თქვა მეფემ, მძიმე ძოწეული დაარხია, მობრუნდა და ოთახს მიაშურა. („ესთეტიკოსი“.)

ასეთივე დიდ აღმზდელობით როლს აკისრებდა **შილლერი** სილამაზეს. მან ეს ეთიური მხარე სილამაზის გძნობის ნათლად გადაგვიშალა თვის „წერილებში კაცობრიობის ესთეტიურათ აღზდა“...

ასეთი ძლიერი, შეგნებული ქურუმია სილამაზისა **ჯორჯიკია**. ეს ნაზი ესთეტი ცხოვრების საკითხს მხოლოთ ესთეტიური თვალსაზირისით უდგება. მისთვის მთელი სიცოცხლე, მხოლოთ გაშლა უნდა იყოს სილამაზის და, თუ სილამაზე დაიჩდილა, იგი მზათ არი თვით სიცოცხლეც სხვერპლათ მიიტანოს... „ლამაზმა ასულმა ქორფა ვარდი მოწყვიტა, ვარდის ხავერდივით ფოთლების სურნელება გძნობას ატკბობდა, ათროობდა. ლამაზმა ვარდს ამაყათ დახედა და თქვა:-კარგი იქნებოდი, ვარდო, რო სილამაზეს მალე არ კარგავდე...

—მარა ბედნიერი იმით ვარ, რო **სილამაზესთან ერთად სიცოცხლეც მეცლება**! უპასუხა ქორფა ვარდმა.

თუმცა ჯორჯიკია თვის მინიატიურებში იისებურ სიმორცხვის ელფერს ატარებს, მარა იგი, როგორც ნამდვილი ესთეტი, ძლიერი ინდივიდუალობით არის აღჭურვილი. მას წამს ხელოვნების დამოუკიდებლობა და უნივერსალობა. მისი შემოქმედობა გულ-წრფელობის ბეჭედს ატარებს. გულ-წრფელობა-კი უტყუარი გამომხატველია მწერლის სიძლიერის და დამოუკიდებლობის...

გულ-წრფელობა შემოქმედობის სფეროში ერთგვარი **„ინტელექტუალური სინიდისია“** (ოვსიანიკო-კულიკოვსკი), ანალოგიური მორალურ სინიდისისა. როგორც მორალური სინიდისი ფსიქოლოგიურათ თავისუფალია, ისევე თავისუფალია ინტელექტუალური სინიდისი, ან გულ-წრფელობა. ვერავითარი ბრმა ძალა მას ვერ უნდა ბორკავდეს, ვერ უნდა ახშობდეს, რათგან მისი დარღვევა,—ეს მოსპობაა პიროვნების თავისუფლების და შეკვეცა მისი სიფართოვისა. ჯორჯიკიას ეს მტკიცეთა წამს. იგი მზათ არი თვისი სიცოცხლე სხვერპლათ მიიტანოს შემოქმედობის თავისუფალ საკურთხეველზე. „ხელოვნება ვერ იცრუებსო“,—დინჯათ და მტკიცეთ გვიპასუხებს ჯორჯიკია. („თავისუფალი შემოქმედობა“).

ასეთია მთავარი ხაზები ჯორჯიკიას ესთეტიურ თეორიისა. მისი სილამაზის შეგძნობა უფრო ეოლინურ სილამაზეს უახლოვდება. მას აქვს, როგორცა ვთქვი, დინჯი დაკვირვების უნარი და აუღელვებელი ჭვრეტა სამყაროსი. ეს ორი თვისება-კი თავდებია მისი, რომ იგი კვლავ გადაგვიშლის სილამაზის გძნეულებას და ჩვენ მახინჯ და ტლანქ ცხოვრებას მის მაცოცხლებელ სხივებში განბანს.

მიხ. აბრამიშვილი.

ქ. დორპატი.

ილ. ხონელი

(ილია ლუკასძე ბახტაძე).*)

ილია ბახტაძე დაიბადა დაბა ხონში, 1856 წელს, 25 მაისს.

მამა მისი, ხონის წმ. გიორგის სობოროს ღვდელი, ლუკა მათესძე ბახტაძე, თუმცა, როგორც სოფლის ღვდელი, ნივთიერათ შეიწროებული იყო, მარა შვილების სიყვარულით ისე იყო გატაცებული, რომ იმათი აღზდისთვის იგი არაფერს დაზოგავდა. ლუკას ქონდა გათავებული ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, იმ დროისთვის ჩვენში იშვიათი განათლების ცენზი. მას ქონდა თავის საკუთარ ეზოში გახსნილი შკოლა, რომელშიაც სწავლობდენ წერა-კითხვას, არა თუ სოფლის პატარა ბავშები, მოზდილნიც და დაწვერულაშებულებიც. იმ დროში, ე. ი., სამოციან წლებში, არც სამინისტრო, არც სამრევლო შკოლები არ იყო. მამა ლუკას ყოველთვის ყავდა მოწვეული მასწავლებელი თანამშრომლათ. უმეტეს ნაწილათ, ეს მასწავლებლები ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდან კურს დასრულებული იყვენ. ლუკა სწავლის შესახებ იშვიათი კაცი იყო. არა თუ თვისი საკუთარი ბავშების სწავლას ცდილობდა. იმას ავათმყოფობათ ქონდა გადაქცეული, საცა-კი ნიჭიერ ბავშს ნახავდა, უსათუოდ, ურჩევდა მშობლებს შკოლაში მიეცა და ესწავლებია შვილისთვის. მისი მეოხებით, ბევრი დაადგა პატარაობიდანვე სწორ ცხოვრების გზას. ამ მხრით, თამამათ ითქმის, მამა ლუკა კეთილი ფანატიზმით იყო გამსჭვალული. მას, ამ მხრით, ახირებულს, ჯინიან ადამიანათ იცნობდენ ხონში.

დედა ილიკოსი, ქრისტინე დავით ქორქაშვილის ასული, ღირსეული ამხანაგი იყო მამა ლუკასი, შვილების აღზდაში. ძლიერი სიყვარულით ღრმათ გამსჭვალული შვილებისადმი, იგი მზათ იყო ყოველიფერი მიეტანა შვილების აღზდის წმიდა სასხვერპლოზე. მეოჯახე, დიდი მუშა ადამიანი, მისი ყურათღება იმაზე იყო მხოლოთ მიპყრობილი, რო ყველა კმაყოფილი ყოფილიყო. აი, აქ, ამ დიდათ გამჯელ, პატიოსან ადამიანების ოჯახში დაიბადა და აღიზარდა ილიკო.

პირველი წიგნი დედამ მისცა მას ხელში და კიდევაც ასწავლა ანბანი. შემდეგ-კი, პატარა ილიკომ თვისი დედის ხელით შეკერილ ბოხჩით დაიწყო სიარული თავის მამის შკოლაში, რომელიც იქვე, ეზოში საკუთარ ორთვალიან ხის სახლში იყო მოთავსებული. ამ შკოლაში იმ დროს ივ. კ-ძე იყო მასწავლებლათ. იგი მეტი-მეტათ მკაცრათ ეკიდებოდა მოსწავლეებს. იგი ცოტა რამესთვის სახაზავს ურტყამდა ხელისგულზე და, თუ მეორეჯელ, ან არ იცოდა გაკვეთილი მოწაფემ, ან რამე ცოტა რამ სიცელქეს შენიშნავდა, უსათუოდ, „როზგით“ დასჯიდა.

ილიკო ნამეტანი ჩვილი გულის ბავში იყო და, რო შეხედავდა ასეთს „ეგზეკუციას“ შკოლაში, როგორც დედისგან განებივრებული და მასთან შკოლის პატრონის შვილი, მოირბენდა დედასთან და შეატყობინებდა, რასაც ჩადიოდა მათი „პესტალოცი“... არა ერთხელ წაუყვანია მას დედა ამ უკანასკნელის დასამშვიდებლათ, არა ერთხელ შკოლაში ნახულით გაბრაზებულ პატარა ილიკოს არ დაუშვია ეს „პესტალოცი“ საერთო სასადილო სუფრაზე. პატარაობიდანვე ილიკო მეტისმეტი გულკეთილი იყო, დიდათ მოყვარული თვისი წრის, ტოლ-ამგანაგების, დედმამის, ძმების და დების. მართლაც რომ, ეს მხარე მისი ხასიათისა იშვიათი უანგარობით და სიძლიერით იყო შემკული და ეს მისი ხასიათი, რაც დრო მიდიოდა, თანდათან ძლიერდებოდა, მტკიცდებოდა...

ილიკო, რო შეუსრულდა მას 8 წელიწადი, მამა ლუკამ შემოისვა ცხენზე (მაშინ არც დილიჟანსი და არც ფაეტონი არ დადიოდა ქუთაისსა და ხონს შვა) და წაიყვანა ქუთაისს, კლასიკურ გიმნაზიაში მისაბარებლათ. იმ დროს, გიმნაზიის დირეკტორათ ლევანდა იყო.

*) ეს ბიოგრაფიული ცნობები, ჩვენი თხოვნით, დასაბეჭდათ გადმოგვცა განსვენებული ილ. ხონელის ძმამ, პატივცემულმა სერგი ლუკასძე ბახტაძემ, რომელსაც ამისთვის დიდ მადლობას მოვახსენებთ.

რედ.

ინსპეკტორათ-კი ცნობილი ლევ ლვოვიჩ მარკოვი (შემდეგში თფილისის პირველი გიმნაზიის დირეკტორი), ნამდვილი გულთფილი, ბავშების მეგობარი პედაგოგი. ილიკო მამამ მიაბარა პანსიონში. პირველიდანვე, მოსწავლეთა შორის, სწავლაში მან პირველი ადგილი დაიკავა. მარკოვს ძლიერ შეუყვარდა. მეხუთე კლასამდი ილიკო სულ ქების ფურცლით და საჩუქრებით გადაყავდათ კლასიდან კლასში. შემდეგ, როცა მამა ლუკამ მეორე შვილიც შეიყვანა გიმნაზიაში, იძულებული შეიქნა ილიკო გამოეყვანა პანსიონიდან და ორივე ვაჟი კერძო ოჯახში დაეყენებია ბინათ.

აქიდან ილიკოს ცხოვრებაში იწყება სრულიათ ახალი ხანა. ილიკო ეცნობა ცხოვრებას, გაჭივრებას. სიღარიბე თან სდევდა მას... ხშირათ იგი მშიერიც წასულა შკოლაში... უფრო ახლოს გაიცნო ამხანაგობა და გულით შეიყვარა ტოლ-ამხანაგნი და მეგობარნი. ილიკოს ერთად-ერთ სიამოვნებას შეადგენდა სხვადასხვა წიგნების კითხვა. მარა ეს წიგნებით გატაცება რაღაც სხვაფრივ ძლიერი იყო, ხშირათ ისე დაათენდებოდა, რო ვერ გაიგებდა. მისი საყვარელი რუსეთის მწერლები იმ დროს იყვენ: პუშკინი, ლერმონტოვი და გოგოლი. ყოველი წიგნი, რომელსაც რამე კავშირი ქონდა და ეხებოდა საფრანგეთის დიდ რევოლიუციას, ამ უკანასკნელმა მაინც ისე გაიტაცა ჯერ კიდევ ნორჩი ილიკო, რო გაკვეთილებს ძლიერ ცოტა დროს უთმობდა. რა დროსაც უნდა გენახათ ის, იწვა, თუ ფეხზე იყო, მუდამ ხელში ეჭირა სეფრანგეთის ისტორიის წიგნი და გატაცებით კითხულობდა. მამამ, რომელიც ხშირათ ნახულობდა მას ქუთაისში, შენიშნა, რო ილიკომ გული აიცრუა გაკვეთილებზე, მოინდომა მისი ძველ გზაზე დაყენება, მარა ამაოთ...

ერთხელ, როდესაც მამას უნდოდა გაწყრომით ემოქმედნა მასზე, ილიკომ უთხრა მას: მამაჩემო, ნუ გგონია, რო მომავალში მე შენი ვიყო, მე საზოგადოებას ვეკუთვნი და მისი მოსამსახურე ვიქნებიო....

ეს აზრი მაშინ, იმ დიდ იდეურ დროს, ჰაერში იყო გამდგარი. მაშინდელი მოზარდი თაობა, თითქოს საზოგადო ასპარეზისთკის ემზადებოდა და მისთვის თავს დებდა... აკაკის, ილია ჭავჭავაძეს მისი „გლახის ნაამბობით“, „კაცია ადამიანით“, ნიკო ნიკოლაძეს, ჭიორგი წერეთელს, სერგი მესხს და სხვა საზოგადო მოღვაწეთ, მოზარდი თაობა ისე უცქერდა, როგორც მოციქულებს, ზე კაცებს და სამერმისოთ ყოველი ნიჭიერი ახალგაზდა ცდილობდა მამულს, საქართველოს რითიმე გამოდგომოდა. მამის ცდა სრულიათ ფუჭი გამოდგა. არც ხვეწნა, არც მუქარა ილიკოზე აღარ მოქმედობდა... მარკოვი თფილისს გადაიყვანეს გიმნაზიის დირეკტორათ და ამ გარემოებამაც მოაკლო მას მფარველი და დამრიგებელი ანგელოზი. ილიკოს არავინ ყავდა ხელის შემშლელი და დაადგა ახალ გზას, დაადგა წიგნების კითხვას და მისს გატაცებას ამ მხრივ საზღვარი აღარ ქონდა.

იმ დროს ქუთაისში ანტონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძეს ქონდა წიგნთ-საცავი, რომლის მუდმივი სტუმარი იყო ილიკო და, თუ რამე-კი იყო მისთვის საინტერესო, არ დაუტოვებია წაუკითხავი. ასე მიაწია უკანასკნელ კლასამდი ილიკომ. სრულიათ გულ-აცრუებული, იგი იძულებული იყო დაეტოვებია სასწავლებელი, რათგან გიმნაზიის საგნები აღარ იტაცებდა მას ახლა, როგორც დაბალ კლასებში. ამ დროს ეკუთვნის ის უსიამოვნება, რომელიც მოყვა პატარა მის კორესპონდენციებს იმ დროინდელ ქართულ გაზეთ „დროება“-ში მოთავსებულებს, ქუთაისის გიმნაზიის წესწყობილებისა და იმ დროინდელ ზოგიერთ ლოთ მასწავლებლებზე. ამ გარემოებამ ილიკო იძულებული ყო დაეტოვებია სასწავლებელი სამუდამოთ... მას აღარ აკმაყოფილებდა საშვალო სასწავლებლის ფარგალი, მას მადა გაეხსნა თავისუფლათ, სხვის დაუკითხავათ, ნება-დაურთველათ ეკითხა წიგნები და, საზოგადოთ, მისცემოდა თვითგავითარებას, დიდსა და მადლიანს საქმეს. საზოგადოთ, ბევრი უშალა მისმა დიდათ მოყვარულმა მამამ, ბევრი ურჩია, რო გიმნაზიის სიმწიფის ატესტატი მაინც აეღო, რო კაკონიერ სტუდენტათ შესულიყო უნივერსიტეტში, მარა ყოველი მუდარა და რჩევა ამაო იყო... მას უნდოდა, წყურიდა რუსეთს წასვლა, ეს შეიქნა მისი საოცნებო

საგანი... ბოლოს, მამაც დაიყოლია. მარა უკიდურესი ხელ-მოკლეობა უკანასკნელისა უშლიდა ხელს, რო წასულიყო რუსეთისკენ. იმ დროს მასწავლებელს საჭიროებდენ ქუთაისის სომხების შკოლაში და ცნობილმა მაშინდელმა სომხების ღვდელმა ტერ დავითმა (იარალიანცმა) მიიწვია ის მასწავლებლათ. ცოტა ხანი, არა უმეტეს ერთი წლისა, დაყო ილიკომ ამ შკოლაში და, შემდეგ, 1876 წელში ილიკო მიემგზავრება პეტროგრადს, რო შეესწავლა სოციალური საგნები და თვითგავითარებისთვის ემეცადინებია.

(შემდეგი იქნება).

გაბრიელი, ეპისკოპოზი იმერეთისა.*)

1825—1896 წ.

(ნეკროლოგი)

ეს ერთი კვირა, რაც დეპეშამ მოგვიტანა სამწუხარო ამბავი იმერეთის ეპისკოპოზის, გაბრიელის გარდაცვალებისა. ხანგრძლივმა ავათმყოფობამ ისე გატანჯა ყოვლად საღვდელო, რომ ეს საშინელი ბოლო მოსალოდნელიც იყო. მარა მაინც ბედშავმა ამბავმა ყველას გულში ღრმა მწუხარება აღუძრა. გადადგა ასპარეზიდან შესანიშნავი პირი, გაქრა ძალა, რომლის ბადალი ძნელათ-ღა გამოჩდება, დადუმდენ ბაგენი, ეკლესიის კათედრიდან მრავალ-წლობით მქუხარენი, აღარ არის ერთი უუნიჭიერესი და ყოვლათ შესანიშნავი მოძღვართ-მთავარი საქართველოს ეკლესიისა.

არიან პირნი, რომელთაც მათი მოქმედება ბედისგან, თითქო წინდაწინვე აქვთ აღნიშნული. ეს ბედისწერა ეტყობა არამც თუ მათ ნამოქმედარს, მათი სულის ძლიერების ნაყოფს, არამედ იმ უცნაურათ გადახლართულ გარემოებათაც, რომელიც მათ ცხოვრების განთიადს თან სდევს.. განსვენებული ღვდელ-მთავარიც ერთი ამ პირთაგანი იყო.

შვილი ღარიბი ღვდლის, გურიის ერთი ღარიბი სოფლისა, გლეხი ჩამომავლობით, ცხოვრების საშვალებას სრულიათ მოკლებული, ნამდვილი შვილი ბუნებისა, აღზდილი ერთ-ერთ იმერეთის ყოვლათ მივარდნილ კუთხეში, შემთხვევით გზას იკვლევს და ადის უმაღლეს წერტილამდი, ეკლესიის მსახურთა შორის. ბავშობის დროს, შემთხვევით გააცნობს ფელდფებელს, რომელიც სლავიანურ კითხვას ასწავლის. შემთხვევითვე შედის ჯერ თფილისის, მერე, პეტერბურღის სასულიერო სემინარიაში და, ბოლოს, იქვე აკადემიაშიაც. აქ-კი შემთხვევა უკანა დგება, აღარ მოქმედებს მის ცხოვრებაზე და ბედისგან მიჩნეული ყმაწვილი კაცი სრულიათ დამთავრებულ მოღვაწეთ გამოდის ასპარეზზე.

1849 წ. გერასიმე ქიქოძე ათავებს კურსს და ჩამოდის თფილისში, სემინარიის მასწავლებლათ. ჯერ ინსპეკტორისა და რეკტორის თანაშემწის თანამდებობას ატარებს, მერე, ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლისას და ყველგან ერთგულისა და თავის საქმის მოყვარული პედაგოგის სახელს იძენს. 1854 წ. ახალგაზდა მასწავლებელი ღვდლათ ეკურთხება და, ორ წელს შემდეგ-კი, როცა საშინელი უბედურება, ცოლისა და შვილების სიკვდილი, დაატყდა თავს, ბერათ შედგება. ამ დღიდან გერასიმე ქიქოძეს მხოლოთ გაბრიელი ეწოდება, სრულიათ მოკლე ხანში იგი მოიხვეჭს იმ ალაგს და სახელს, რომელიც სიკვდილამდი შერჩა. იგი გორიდან 1860 წ. გადაყვანილ იქნა იმერეთის ეპარქიის მმართველათ და 35 წლის განმავლობაში, სიკვდილის დღემდი, თავს ადგა თავის სამწყოროს დარაჯათ და არ ღალატობს მას არავითარი სიკეთის გულისთვის. მასში გამოიხატა სრული თავისებურებით გურული გლეხი, მტკიცე და მედგარი, გულის ტკივილით თავ-დავიწყებული მოყვარული თვისი მშობელი მიწისა, მოყვარული თვისი ღარიბ და ხანდისხან ფიცხელ მემამულეთა. მან უარყო სურვილი დიდების შეძენისა და სიკერპით, სწორეთ მისგან შეთვისებუ-

*) შენიშვნა „კვალი"-ს რედაქციისა: ვბეჭდავთ სრულ თარგმანს ილ. ხონელის ფელეტონისას, რომელიც გაზ. „кавказъ"-ში იყო მოთავსებული. ამ სტატიამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეეე, ყველამ წაიკითხოს და თვისი მსჯავრი დასდოს.

ლი სიკერპით, აირიდა მრავალ გზით მიწოდებული სხვადასხვა ღირსება, რომელიც კიდევ უფრო მაღლა ასწევდა საეპარქიო ასპარეზზე. ხანგრძლივი ცხოვრების დასასრულამდი, იგი რჩება იმავე მებძოლად, როგორც ი'შვა და, როგორც ჩავიდა საფლავს. გასაოცარია ეს სისრულე ხასიათისა, ეს დიადი სიმტკიცე თავის თავისადმი, ეკლესიის თვით პირველ წმიდა მოძღვართათვის შესაფერი...

ორი საგანი მოქმედებისა, ორი მისწრაფება გულისა და ბუნებისა ახასიათებს მას, როგორც საზოგადო მოღვაწეს,—ეს არი **შკოლა და კათედრა**. ამ საგნებს უერთგულა მან თავდავიწყებამდი, ფანატიკოსობამდი. მათზე დაამყარა თვისი დიდება, რომელსაც ერთდროს გარს საოცრათ ბწყინვალე შარავანდედი ეფინა. როგორც კაცმა-ღრმათ განათლებულმა, თავის თავზედვე შკოლის ზედმოქმედების გამომცდელმა, მცოდნემ თავის ქვეყნისა და მტერმა მასზე შემოხვეულ სიბნელისამ, თავის მოქმედების პირველ ნაბიჯიდანვე შეატყო, რა იყო მისი დანიშნულება. თუ გერასიმე ქიქოძე კარგი მასწავლებელი იყო და ღირსეულათაც მიაჩდათ, ასე ბერმა გაბრიელმა მას, ამ ასპარეზზე, გადაამეტა. ეპისკოპოზობის დროს, იგი ეკლესიასა და შკოლას ერთმანეთში არ არჩევდა: არ იცოდა, სად თავდებოდა ერთი და იწყებოდა მეორე. ორივე მისთვის თანაბრათ წმიდა საგნები იყო, ორივეს თანაბარი ერთგულებით ემსახურებოდა.

დანიშნეს თუ არა იმერეთის ეპარქიის ემართველის მაღალ ადგილზე, მოიარა დაბა—სოფლები და ყველგან შკოლები გაახსნევია, სადაც-კი შეხვდა რაიმე ძალას, ამ საქმისთვის გამოსადეგს, გამოიყენა კიდეც. ათობით და ოცობით ფუძნდება საეკლესიო სამრევლო შკოლები ღვდლებისა და დიაკვნებისგან განაგებნი. ყოვლად საღვდელო ყოველ წელიწადს ათვალიერებს მათ, ხანდისხან წელიწადში რამდენჯერმე რევიზიას უკეთებს, შეგირდებს ეგზამენს აჭერიებს, ყურს უგდებს სწავლის წარმატებას. თავის სოფელშიაც, თავის ხარჯით, აარსებს სამაგალითო შკოლას, შველის ფულითაც, სადაც-კი შესაძლოა, აჯერებს და ამტკიცებს ამ საქმეში, როგორც მოძღვართ, ისე მათ სამწყროს. იგივე აარსებს სასულიერო სასწავლებელს ქუთაისში და აღძრავს ლაპარაკს იქვე სასულიერო სემინარიის დაფუძნებაზე. ამ უკანასკნელს თავის სანატრელს სწირავს იგი დიდ შრომას და დაუღალავ ღვაწლს მრავალი წლის განმავლობაში და, ვაი, რო, მხოლოთ სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს, ხედავს გახორციელებას თავის ოცნებისას... მაინც და მაინც დაბრკოლება ხელს ვერ უშლის და ავადმყოფიც-კი, სნეულებით დატანჯული, ცთილობს თავის საყვარელი საქმის დამთავრებას. ეს იყო მისი უკანასკნელი კეთილი დიადი საქმე თავის სამწყროსადმი, რომელსაც, იმისი ღვაწლით, რასაკვირველია, საუკუნოთ გულში ექნება ღრმათ ჩაბეჭდილი.

თუ გაბრიელ ეპისკოპოზი საკვირველი იყო, როგორც პედაგოგი, როგორც ორატორი, იგი იყო სწორეთ მსმენელთა გულის წარმტაცი...

ვთქვათ, იმის ქადაგებათ ელირსათ ინგლისურ ენაზე გადათარგმნა და სასულიერო ჰერმეტყველების მცოდნენი და მოყვარულნი გაოცებაში მოყავდათო, კიდევ ცოტა იქნება. უნდა გენახათ, როგორ მოქმედებდა ეს ქადაგება მათზე, ვის სასმენლათაც იგი ამბობდა. მას მხოლოთ ერთი აზრი ქონდა ხოლმე წინ გამოსახული. იგი ქადაგებდა მხოლოთ მოყვასთა სარგებლობისთვის და არა საკუთარი პატივმოყვარობის დასაკმაყოფილებლათ. ამ არა ჩვეულებრივმა სიტყვის მეფემ შეიმუშავა თვითვე თვისი საკუთარი ენა, ენა ბწყინვალე, თავისებურებით შესანიშნავი. მისი სიტყვა იყო ყოველთვის სადა, ძლიერი, საგნის პირდაპირ ნიშანში ამომღები და მსმენელთა ამფრთოვანებელი. ის თითქო არც-კი ქადაგებდა, არამედ საუბრობდა. მარა საუბრობდა ისეთი სიცხოველით, გატაცებით და ბეჯითი ძლიერებით, რო მსმენელნი ვეღარ აღწევდენ თავს მის ჩაბეჭდილებას...

მეორე, არა ნაკლებათ შესანიშნავი თვისება იმის ქადაგებათა, ის იყო, რო საკვირველი სიმკვირცხლით ყოველ საზოგადო მოვლინება-

ზე ხმა უნდა აღემაღლებია. გაბრიელ ეპისკოპოზი თავის დღეში ცუდ-უბრალოთ, ლაპარაკის გულისთვის, არას იტყოდა. მას ყოველთვის სახეში ქონდა ესა, თუ ის დღიური ვარამი, შინჯავდა დაწვრილებით ამა, თუ იმ მოვლინებას, რისხვით თავს ეცემოდა აღმოჩენილ ბოროტებას... ამიტომაც, თავის ქადაგებაში ბოროტსაც კიცხავდა და თან სამწყსოს სიმართლეს ასწავლიდა. მისგან კიცხვა მაშინ უფრო ძლიერი იყო, როცა გარემო ცხოვრება უფრო მეტ საბუთს აძლევდა. ბევრს ახლაც უნდა ახსოვდეს სახელოვანი სიტყვა, წარმოთქმული გლეხთა გათავისუფლების წინათ, რომელმაც კინაღამ იმის სიცოცხლე შეიწირა...

მხოლოოთ გურულმა გამბედაობამ გადაარჩინა ამ ხიფათს. თვით ამ სტრიქონების დამწერს მახსოვს ერთი მისი შესანიშნავი სიტყვა-თაგანი, მიმართული ეკლესიაში დამსწრე, ქუთაისის მაღალ საზოგადოების ქალთადმი. საუცხოო რამ იყო იგი... აღჭურვილი თავის აღტკინებული მრისხანებით და დამცინავი კილოთი გამომჟღავნებელი ფუფუნებით ცხოვრების მავნებლობისა. ისე ხელოვნურათ დახატა მან იდეალური სახე უწინდელი ქართველი ქალისა, ოჯახისა და დედობრივი ბზრუნველობისთვის თავდადებულისა, ისე ცხოვლათ წინ წაუყენა მათი აჩდილი ბალებისა და სამხიარულო საღამოების გმირ ქალთა, რო მისგან ძლიერათ დახატულმა სურათმა მსმენელთ ჟრჟოლა მოგვარა... განკიცხულებმა აღარ იცოდენ, რა ექნათ, ეკლესიაში სირცხვილით ერთი ერთმანეთს ეფარებოდენ და მისი სიტყვა-კი იუპიტერის სიტყვისამებ, კათედრიდან ქუხდა და საოცრათ ელავდა. ყველას ახსოვს აგრეთვე მისი მოკლე, მარა თიდ-მნიშვნელოვანი, მაშინვე ტელეგრაფით გადმოცემული სიტყვა, რომლითაც მიმართა ღვთივ-განსვენებულ მეფეს-მშვიდობის მყოფელს, ქუთაისში მიბძანების ჟამს. განსვენებულმა იმპერატორმა ჯერო ვანათ დააფასა ეს მისი სიტყვაც და თვით მცხოვანი ღვდელმთავარიც. მეორე დღესვე, გელათის მონასტრის დათვალიერების დროს, ესტუმრა იგი ღარიბ სენაკს მკაცრი ბერისას და ხელმწიფე ასორმოცდა ათი მილიონის სულისა, ისე ექცეოდა თავისავე ქვეშევრდომს, როგორც მოსიყვარულე და პატივისმცემელი შვილი...

ჰეშმარიტათ, ჩაქრა დიადი ვარსკვლავი და იმერეთი ველარ იხილავს მალე ამ გვარსავე ბწყინვალებას. მარა შეურაცხება იქნებოდა თვით განსვენებულის ხსოვნისთვის, თუ არ ვიტყვი, რო ნათელს ყოველთვის თან თვისი ჩდილიც მოსდევს. გაბრიელ ეპისკოპოზი, პირი ყოვლათგანათლებული თავის დროის შესაფერათ, ჩინებული პედაგოგი, დიდათ გასაოცარი ორატორი, ვერ იყო ადმინისტრატორი, რაც უნდა ილაპარაკონ იმის თაყვანისმცემელთ. ამისთვის მას აკლდა ის სულის სიმშვიდე, ბუნების თანაბრობა, ის პირუთვნელობა თავის თავისა და სხვათადმი, რაიც კაცს სიფრთხილეს აჩვევს. ცხოველი გატაცებული ხასიათი, თავის დროზე ვერ დამშვიდებული ადრე დაკარგული დედის ალერსით, მამის მკაცრი ხასიათი, ბავშობისას სასტიკი აღზდა და, ბოლოს, ცოლშვილის უბედურება, თავს მაშინ დანატეხი, როცა მისი ძალა და იმედი ის იყო თლად იფუჩქნებოდა,-ეს ყველაფერი თითქო ხელს უწყობდა ასეთი ბუნების შექნას. თითქმის შეუძლებლათ მიაჩდათ მასთან საქმის დაჭერა, ძალიან მძიმე ხასიათის გამო. მისი მკაცრი ხასიათი (деспотическая натура) წინააღმდეგობას ვერ იტანდა და ხშირათ იქცეოდა ისე, რო სამართლიანათ ეწოდებოდა მას სახელი „მებძოლი ბერისა". ის ყველაზე ეჭვიანობდა, ყველას ერჩოდა, ყველასთან საომარ ფეხზე იდგა...

მარა, დეე, სამშობლო მიწამ მოგვცეს უხვათ ამ გვარი შვილნი, რომელთაც მრავალი მიეტევება, რათგან მრავალკეცი იყო მათი სიყვარულიც. ნაკლულევანება დავიწყებას მიეცემა, ღირსება-კი არ გაქრება და განსვენებული ღვდელ-მთავარი, რომლის ნაშთი ჯერ კიდევ მიწას არ დაუფარავს, ცხოვლათ დარჩება ჩამომავლობის ხსოვნაში ისე, როგორც ხატავს მას მისი მოქმედება ქვეყნისა და სამწყსოს სასარგებლოთ.*)

ილ. ხონელი.

*) ჩვენ განზრახ წარვუდგინეთ ეს სტატია ჩვენი ჟურნალის პატივცემულ ახლანდელ მკითხველს, რო

† ილია მეჩნიკოვი.

გარდაიცვალა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის უდიდესი ჰუმანისტი, კაცთმოყვარე მეცნიერი.

ილია მეჩნიკოვის დახასიათება შეიძლება ერთი სიტყვით: „შვენიერება“.

ის შვენიერი იყო სახით, სულით და მეტყველებით.

ის ერთსა და იმავე დროს უდიდესი თეორეტიკოსი, წინასწარმხედვარე, და ადამიანის ბედნიერების მიზეზთა მეძიებელი იყო.

პირველათ მუშაობდა, როგორც ზოოლოგი და ამ ნიადაგზე მისი ღვაწლი იმდენათ დიდი იყო, რო რამდენსამე მეცნიერთან ერთად ემბრიოლოგიის დამფუძნებლათ ჩაითვლება.

თუ იმის თანამშრომელმა, ო. კოვალევსკიმ „ამფიოქსუს ლანცეოლატის„ (ერთგვარი თევზია) შესწავლით ხერხემლიანსა და უხერხემლო ცხოველებს შორის შემაერთებელი ხიდი გადვა, ილ. მეჩნიკოვმა განყოფიერებული კვერცხის გავითარების პირველი საფეხურის შესწავლით ყველა მრავალუჯრედიანი ცხოველი ნათესავური კავშირით შეუერთა ერთმანეთს.

ამ გვარათ, ამ ორმა მეცნიერმა დარვინის თეორია მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე დაამყარეს.

მეჩნიკოვის ყოველმხრივი მეცნიერული ღვაწლის დაფასება მე, როგორც არა სპეციალისტს, არ ძალმიძს.

ავნიშნავ მხოლოთ ზოგიერთს მის აღმოჩენას. მან აღმოაჩინა ის დიდი ფაკტი, რომ ადამიანის (აგრეთვე) ყოველი ცხოველის) სისხლის თეთრი ბურთები მის სხეულში შესეულ მავნებელ ბაკტერიებს (უხილავს, მიკროსკოპიულს, მდაბალარსებათ) ებძვიან და, მაშასადამე, მის სხეულს ყოველგვარი სენისგან იფარავენ (ფაგოციტოზი) და მრავალმა მეცნიერულმა ძიებამ დაადასტურა, რო, თუ ხსენებული თეთრი ბურთები (ფაგოციტები) ერთადერთს განმკურნებელ მცველებს არ წარმოადგენენ, უმათოდ ბძოლა ბაკტიერებთან შეუძლებელია.

მეჩნიკოვსავე ეკუთნის აგრეთვე მეორე დიდი აღმოჩენა. მან დაამტკიცა, რო სხეულის თითოული უჯრედი, ან კვერცხუკა, იფარავს და იცავს თავს ერთგვარი თხეულობით, რომელიც მეზობელს უცხო უჯრედებს ნებას არ აძლევს, რო ის გადათელონ და ახოცონ. ამ თხეულობას ციტოტოქსინი ეწოდება.

აქიდან წარმოიშვა მისი თეორია სიბერის შესახებ. ის ამბობს: სხეული შედგება კეთილშობილი უჯრედებისგან (მაგალითად, ნერვიული სისტემის, მყესთა (მუსკულთა), თირკმელთა, კუჭისა და წელების ჭირკვლების სპეციფიური, ტომოვნებით უჯრედები) და არა კეთილშობილი უჯრედებისგან, ასეწოდებული, შემაერთებელი ქსოვილის უჯრედები) და სიბერე მეორეგვარი უჯრედების მიერ კეთილშობილი უჯრედების დაჩაგვრას მოასწავებსო.

აქიდან-კი იბადება შემდეგი სამეცნიერო საძიებელი: ამოვაჩინოთ ისეთი საშვალება, რო მით არაკეთილშობილი უჯრედები იმდენათ დავაუძლუროთ, რო კეთილშობილი უჯრედბი ვეღარ დაჩაგრონ. ეს იქნება საშვალება სიბერის წინააღმდეგ.

მასვე ეკუთნის შემდეგი თეორია. როგორც ვიცით, ადამიანის სხვილ წელებში აუარებელი ბაკტერია არი, რომელიც წელების შეცულობას ხრწნის (საპროფიტები, ან მძოვრისმჭამელი ბაკტერიები). ხსენებული ბაკტერიების ფიზიოლოგიური დანიშნულების უარყოფა არ შეიძლება. მარა ბუნებაში ყველაფერი წესიერათ არა წარმოობს და წელების შეცულობის გადამეტებული ხრწნისა და ლპობისგან წარმომდგარი ნივთიერებანი წელებში ლიმფის ჭურჭლების მიერ შეისმენიან

დარწმუნდეს, რომ ამისანა შეფასება და დახასიხთება უკვდავი გაბრიელ ეპისკოპოზისა არ მოუსია ჯერ საქართველოში არც ერთ ქართველ მწერალს, ასე მოკლეთ, ასე სრულათ. ილ. ხონელის დიადი ტალანტით უნდა იყვეს დასაჩუქრებული მწერალი, რომ ასეთი აპრიალებული, ძლიერი და ყოვლის მხრით შესანიშნავი სტატია დასწეროს, ასე ნაჩქარევათ, ყოველ დღიური გაზეთის რედაქციის მაგიდაზე.

რედ.

და სხეულს წამლავენ. ეს არი, სხვათა შორის, სისხლის მილების დასსნეულებისა (სკლეროზის) და, მაშასადამე, სიბერის დაჩქარების მიზეზი. და მეჩნიკოვი გვირჩევს, ვებძოლოთ სხეული ქრონიკულ მოწამლას შემდეგი საშვალებით: ვჭამოთ მაწონი, რომელიც შეიცავს, ასეწოდებულ, დამამჟავებელ ბაკტერიებს (აციდოფილებს), რომელნიც ხელს უშლიან საპროფიტების გადაჭარბებულ გამრავლებას. ამ გზით, შეგვიძლია ხანგრძლივ ვყოთ ჩვენი სიცოცხლეო.

მეჩნიკოვსავე ეკუთნის იმ ფაკტის აღმოჩენა, რო ბრმა წელის ჭიისებური საკიდის ანთება ხშირათ ჭიის (ასკარიდების) თესლისგან წარმოდგება.

ავნიშნოთ კიდევ ერთი დიდი აღმოჩენა. მან აუცრა და შეაქნა მაიმუნს კაცის სიფილისი და, მაშასადმე, საფუძველი ჩაუყარა ამ სენის მომავალს სეროტერაპიას (მაიმუნის სისხლის შრატით კურნებას).

მარა მეჩნიკოვი ვიწრო მეცნიერი არ იყო და მისი ფართო გონება მარტო ერთი მეცნიერების სარბიელით არ გარეშეიწერებოდა, არამედ სოციალურ მოვლენებსაც გარეშეიცავდა და აშუქებდა: მრავალი მისი ღირსშესანიშნავი სოციოლოგური წერილია სხვადასხვა ჟურნალში გაბნეული.

დასასრულ, შევეხოთ ორიოდე სიტყვით მისი ფილოსოფიის მთავარ დებულებას. მის ფილოსოფიასა და ეთიკას—მეცნიერული ოპტიმიზმი უდევს საარჩულათ. მისი აზრით, ყოველი კაცი უნდა ეძიებდეს თავისა და თვისი მოძმის ბედნიერებას. ბედნიერებათ-კი აღიარებდა ის შრომას, ოქმედებასა, და ტანმოელობას. უნდა ვეცადოთ, რო ვიცოცხლოთ თელად და დიდხანს და უნდა ვიშრომოთ, ჩვენი საკუთარი სარგებლობისა და მოძმეთა ბედნიერებისთვის. მაშინ მოხუცება არა თუ ჭირათ არ მოგვევლინება, არამედ სასიამოვნო იქნება, რაფგან ამ ხანში კაცს მეტი აქვს ცოდნა და გამოცდილება. მოხუცი არ უნდა იყოს უძლური, არამედ გამოცდილებასთან ერთად მხნეობა, შრომის მოყვარობა და გონებრივი ენერგიაც შენახული უნდა ქონდეს. მისი მნიშვნელობა გაასკეცდება. და, როდესაც სიკვდილის ჟამი მოახლოვდება, ისე შეეგებება ამ წამს, როგორც ბუნებრივსა და ჩვეულებრივ მოვლენას, კმაყოფილი, რო მის სიცოცხლეში თვისი დანიშნულება პირნათლად აასრულა.

უკანასკნელ ჟამს, როდესაც ევროპამ ცეცხლითა და მახვილით თავის თავის განადგურებას ხელი მიყო, მეჩნიკოვი გულის ტკივილით შეყურებდა ამ ამბებს და ეს დარდი სამარეში თან ჩაიტანა.

ასეთი იყო ილია მეჩნიკოვი, დიდი მოაზრე და უკეთილშობილესი ადამიანი.*)

მკურნალი ვასილ ჭერეთელი.

სახელმწიფო დუმა.

(3 **ივნისის სხდომა.** **)

დეპ. აკ. ჩხენკელის სიტყვა.

ამ დღეს დუმა განაგძობს გლეხთა საკითხის განხილვას. გარეშე საზოგადოება ბლომათ არი: ხოლო ბევრი დეპუტატის ადგილი ცალიერია. მინისტრთა სავარძელში ზის შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი, გრაფი ბობრინსკი. კამათი თავიდანვე მწვავე ხასიათს ღებულობს. პირველათ ლაპარაკობს მემარჯვნე ოკტომბრისტი პ. იაგოდინსკი, მერე ლაპარაკობენ: ტრუდოვიკი კერენსკი, კადეტი როდიჩევი და სოც.-დემ. ჩხენკელი; ყურათღებას იქცევს აგრეთვე გლეხი დეპუტატის, კალინინის მოკლე, მარა შინაარსიანი სიტყვა. ყველა ორატორები ხაზს უსვამენ მას, თუ რა როლი ითამაშა და თამაშობს დღესაც შეერთებული თავად-აზნაურობა ბატონ-ყმური ნაშთების შენახვაში.

სოც. დემ. აკ. ჩხენკელი მაკლაკოვის მოხსენების წინააღმდეგ ილაშქრებს და მის სისუსტეს და შეცდომებს „ლიბერალურ-ნაციონალისტურ ბლოკის“ გავლენით ხსნის და,

*) ილია მეჩნიკოვი გარდაიცვალა პარიზში, ორს იელის, 72 წლ. და, მიწაში დასაფლავების მაგიერათ, იმისი ნეშტი დაწვეს, მისი ქვრივის თანდასწრებით. განსვენებული მეცნიერი მომხიბვლელი ლეკტორიც იყო და მის საყურათღებო ლექციებს ჩვენც აღტაცებით ვისმენდით ქ. ადესაში.

რედაკტორი.

**) „რუს. ვერ.“ № 128.

შემდეგ, ებრაელთა საკითხს ვრცლათ ეხება.

—მომხსენებელი ბ. მაკლაკოვი,—ამბობს ის,—906 წ. 5 ოკტომბრის უქაზს, 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტის შემდეგ, ყველაზე ღირსშესანიშნავათ თვლის. მარა ამგვარი მისი დაფასება მისივე თვალსაზრისითაც-კი კრიტიკას ვერ ითმენს. მართალია, პროეკტი გლეხთა საკითხს წამოაყენებს, მარა საკითხის წამოყენება მის გადაჭრას კიდევ არ ნიშნავს. გლეხთა საკითხის გადაჭრა არ შეუძლია იმ სახელმწიფო დუმას, რომელიც 3 ივნისის ცვლილების წყალობით, არსებობს. უფრო მეტი; ამ ცხრა წლის განმავლობაში ამ საკითხის აქ წამოყენება შეუძლებელი გახდა.

მომხსენებელი მაკლაკოვი ცთილობს დაამტკიცოს, რომ ეს პროეკტი სპეციალური გლეხური პროეკტია. მარა თვით მთავრობაც ხომ არ თვლიდა ამას სპეციალურათ გლეხებისთვის, და იგი დაამზადა რუსეთის ქვეშევრდომისთვის, გარდა, რასაკვირველია, ინოროდცებისა. ამგვარათ, თვით მთავრობამ გააფართოვა საკითხი მიტო, რომ იგი იძულებულია დემაგოგიური გზით მაინც გაეწია ანგარიში 1905 წელთან და ამიტო ვერ გადაწყვიტა ელაპარაკა მხოლოთ გლეხობაზე და ქალაქთა მთელი დემოკრატია-კი უყურათღებოთ დაეტოვებია. რასაკვირველია, ჩვენი მომხსენებელი დემაგოგი არ არი. მარა ის იმდენათ შორს მჭვრეტელი პოლიტიკოსია და დიდებული სტრატეგი, რომ 1905 წ. არ უკავშირებს პროეკტს. მაკლაკოვს მიზნათ აქვს უხმაუროთ გაატაროს ეს პროეკტი სახ. დუმაში და სახ. საბჭოში და, ამიტომაც, ნაკლებ ეკლიან გზას ეძებს, რათგანც იცის, თუ რაშია „ლიბერალურ ნაციონალისტური ბლოკის“ სისუსტე და რაშია რეაქციონური მთავრობის სიძლიერე. როგორცა ვთქვი, მთავრობამ გაავრცელა ეს პროეკტი რუსეთის ყველა ქვეშერდომებზე, მარა გამონაკლისი ყოველთვის შეიძლება და, აი, აქიდან გამორიცხეს კალმიკები, სამოედები, კირღიზები და ებრაელები. რასაკვირველია, სიტყვა „ინოროდცები“ ნახმარი იყო სილამაზისთვის: საქმე ეხება მხოლოთ ებრაელებს.

პ. ა. სტოლიპინი ფიქრობდა, რომ ინოროდცების საკითხი და, კერძოთ, ებრაელთა საკითხი, სახალხო წარმომადგენლობამ უნდა გადაჭრასო. მეორე, მესამე და მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრს, ქებულ კონსტ.-დემოკრატს მეტი არაფერი დარჩენოდა, რომ ეს საკითხი, თუ თლად არა, ნაწილობრივ მაინც წამოეყენებია გადასაჭრელათ, თუ გინდა იმ უბადრუკ ჩარჩოებში, როგორც წამოაყენებს ხელოსანთა და მეშჩანთა საკითხს. მარა სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რო მომხსენებელმა პ. ა. სტოლიპინის დემაგოგიურ ორგანიზაციას ყველაფერი დაუთმო. ის ყველაფერში მხარს უჭერს სტოლიპინის დებულებების მტკიცებას, რო კანონი არ უნდა ვრცელდებოდეს ებრაელებზე; გასხვავება მხოლოთ იმაშია, რო სტოლიპინი უშიშრათ სვამდა წერტილს და კანონპროეკტის პირველ განყოფილებაში შემდეგ ფრაზას თამამათ უმატებდა: „ინოროდცების გამოკლებით“. და ჩვენი მომხსენებელი-კი თავიდან იცილებს ამ ფრაზას და მის ნამდვილ აზრს გვიაშკარავებს, სამსახურის წესდების ერთ მუხლზე მითითებით. მაშინ, როცა ყურათღებას არ აქცევს მეორე მუხლს, რომლითაც ებრაელებს სპეციალურათ ეკრძალებათ სახ. სამსახურში შესვლა. ის, რასაც მომხსენიბელი ჩვენ გვაძლევს, არის მხოლოთ ცუდი ხარისხის პოლიტიკანობა.

ებრაელთა საკითხი—არც ისე უბრალო და სუბუქია, რომ ასე გვერდის ჩავლით დავკმაყოფილდეთ. სამწუხაროთ, ბლოკის მემარცხნე ნაწილმა ამ საქმეში ბლოკის უმრავლესობის ანტ-სემიტიზმს და კაციჭამიობას ხელი დააფარა. ეს კიდევ ცოტაა. ბლოკის მემარცხნე ნაწილი, ისე გაიტაცა მემარჯვნე ნაწილთან მუშაობამ, რო მან ამ დამპალი საქმის მომხსენებელათ ერთი თვისისაუკეთესო წევრი გამოუშვა. მომხსენებლის ორატორულ ნიჭს ქება არ ჭირდება. მარა მარტო ლამაზი და კარგი სიტყვებით შორს ვერ წახვალთ. ამას გარდა, საჭირო არი მოქალაქობრივი გამბედაობა თქვა ის, რაც არი და არ გვაჩვენოთ თავი კმაყოფილათ, როცა კეთდება ცუდი საქმე. ყოფილი მინისტრი ნ. ა. მაკლაკოვი,

რაც გნებავთ, ის იყო: ის იყო რეტროგრადი და ზოოლოგიური ბალის ყველა სახეების იმიტატორი, ის იყო სახელმწიფოებრივი „ცელქი მოთამაშე“. მარა ერთი რამ არ აკლდა მას — მას ქონდა ნამდვილი გამბედაობა.

და ჩვენი მომხსენებელი თავის ძმას არა გავს და სულ გონია, რო ზის ავტომობილში და ამ პროეკტის ბედ-იღბალზე შიშობს, ძაგ-ძაგებს. და, აი, მინისტრის ამხანაგ, გრაფ ა. ბობრისკის გამოსვლის შემდეგ, როცა მან გააცხადა, რომ იგი პროეკტის რამდენიმე ცალკე მუხლების პრინციპიალური მოწინააღმდეგეა, ჩვენი მომხსენებელი-კი გამწარებით ამტკიცებდა, რომ ებრაელთა საკითხის მოხსნა ამ პროეკტის დამტკიცებას ხელს შეუწყობს, როგორც აქ, ისე სახელმწ. საბჭოშიო, სადაც გრაფი ა. ბობრინსკიც ბძანდება. ამგვარათ, ჩვენი მომხსენებელის სტრატეგია სილაზეა აშენებული. ამ პროეკტიდან გამოაკელით ებრაელთა საკითხი, — და ეს იმას ნიშნავს, რო სოფლიოს თანამედროე მდგომარეობის დროს, ანტისემიტიზმს ორივე ხელით ხელი მოაწერო, ან პოლიტიკის მაგიერათ, პოლიტიკანობა დაიწყოთ...

დროა შეიგნოთ, რომ ებრაელთა საკითხი იგივე მთელი რუსეთის საკითხია; რომ ებრაელთა უუფლებობა რუსეთის ხალხის უუფლებობაზეა დამყარებული. ჩვენ არა ერთხელ ვამტკიცებდით, რო „ლიბერ.-ნაციონალისტურ ბლოკის“ ლაქლაქი ნაციონალობის პრინციპის, წვრილი ერების დაცვის შესახებ, სულ მტკნარი სიცრუეა და სიყალბე. მე დამრჩენია მხოლოთ ის, რო ვ. ა. მაკლაკოვს და მის მეგობრებს მივულოკო, რომ ისინი ამ საკითხს ემხრობიან: მივულოკო, რო მათ პროგრამას ერთი მუხლი კიდევ მოაკლდა. მე კარგათ მესმის, რო რეაქციის ბელადები და დამქაშები სარგებლობენ ყოველი შემთხვევით, რომ უგვანო დემაგოგია გასწიონ ამ პროეკტის ებრაელებზე გავრცელების შესახებ. მე კარგათ ვიცი, რო მომხსენებელი და მისი მეგობრები ამ დემაგოგიით შეშინებული არიან. მარა, რამდენათაც ლიბერალურ ბურჟუაზიის წარმომადგენლების პოლიტიკა იქნება გაუბედავი და მშიშარა, იმდენათ უფრო გამბედავი უნდა იყოს ფართო დემოკრატიის პოლიტიკა. როცა ცთილობენ რუსეთის გლეხობა დაარწმუნონ, რომ ებრაელების გათანასწორება დაღუპავს მათ საქმეს და ავნებს მათ არსებით ინტერესებს, ამით ისინი ყოვლათ წარმოუდგენელ შეურაცყოფას აყენებს მას. ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, რო გლეხობას არ ესმის, რო სხვის უბედურობაზე თვისი „ბედნიერების“ აშენება არ შეიძლება? და, თუ ეს მას ესმის, მასვე უნდა ესმოდეს, რო მთავრობის მთელი ანტიებრაული პოლიტიკას ასაზდოებს სიბნელე, გაუნათლებლობა, უუფლებობა და გლეხთა შიმშილი. ვ. ა. მაკლაკოვი, რასაკვირველია, ანტისემიტი არ არის, — ამისთვის ის კარგა ჭკვიანია, მარა მის სულში ღრმათ ჩაძრომა მაინც საშიშია.

ჩვენ ვშინჯავთ ამ კანონპროეკტს იმ კითხვებთან ერთად, რომელიც 1905 წელში რუსეთის დემოკრატიამ წამოაყენა. ცხადზე უცხადესია, რომ ამ ძირითადი საკითხების გადაჭრა მესამე ივნისის სახელმწიფო დუმას არ ძალუძს. მარა აქიდან ის დასკვნა-კი არ უნდა გამოვიტანოთ, რო ქვეყანა ამ საკითხების გადაჭრის წინაშე არ იდგეს... საერთო ევროპის ომი, რომელიც, აგერ, ორი წელია, რაც მძვინვარებს, დასრულდება და დაასრულებენ მას არა ისინი, რომლებმაც დაიწყეს, არამედ სხვები. საგარეო კრიზისების პერიოდმა აწი შინაურ კრიზისების პერიოდს უნდა დაუთმოს ადგილი... რუსეთისთვის ამ მომენტის დადგომა იმის ნიშანი იქნება, რო გადაწყდება საჭირბოროტო საკითხები, რომელიც ქყეყანას ბორკილებისგან გაათავისუფლებს. (ტაშისკვრა).

სომხური პრესა.

სომხ. გაზ. „ჰორიზონი“ „თან. აზრ.“ წინააღმდეგ კამპანიას ეწევა.
მას ღირსეულ პასუხს აძლევს სომხის დემოკრატული გაზეთი „პაიქარი“.

ამ გაზეთში მოთავსებულია სარედაქციო წერილი „შორს, თქვენი ბინძური ხელები!“ მოგვყავს ის სავსებით:

„ყოველთვის, როცა სომხის პლუტოკრატია და ქართველი თავად-აზნაურობა რომელიმე საზოგადო დაწესებულებაში, ან რომელიმე საკითხის გარშემო, ერთმანეთს შეეჯიბრება, მაშინვე ასპირეზზე გამოდის ამ ორი სხვადასხვა ელემენტის ამყოლ-დამყოლი, მათი სურვილების აღმასრულებელი პრესა და თავის შოვინისტურ ბძოლით საზოგადობრივ ატმოსფერას შხამავენ.

საერობო თათფირი იყო ჩვენი ცხოვრების ერთი იმ მრავალ ეპიზოდთაგანი, სადაც სომხის და ქართველ გაბატონებულ ელემენტების ინტერესები ერთმანეთს შეეჯახენ.

ქართული და სომხური პრესა, მისი დემოკრატული ნაწილის გამოკლებით, შეუდგა ერთი მეორის წინააღმდეგ ბრალდებების წაყენებას და ლანძღვა გინებას. ამავე დროს, თავის საქციელით პრესა ამ ერთა შვა დამოკიდებულებას ამწვავებდა.

სომეხთა ცხოვრებაში ამ საკითხის გარშემო დიდ ენერგიას იჩენს გაზეთი „ჰორიზონი“. ამ გაზეთის თანამშრომელს, ა. შახათუნიანს თავის ხელობათ გადაუქცევია სომხის საზოგადოებაში, არა პირდაპირის გზით, ქართველ ხალხისადმი უნდობლობის თესვა. ის სარგებლობს ამ შემთხვევით, რო სომხის ხალხის ფართო ნაწილი არ არი გათვითცნობიერებული და ახლოს არ იცნობს ქართველ ღვიძლი ხალხის მისწრაფებებს.

რით აიხსნება ბ. შახათუნიანების, ვარანდიანების და სხვების ამ ნიადაგზე დახარჯული ენერგია, მით უმეტეს, რომ იმათ თავი მოაქვთ დემოკრატულ პრინციპების დამცველებათ?

რით აიხსნება ის გარემოება, რო ბ. შახათუნიანი თვალებს იბრმავებს და ვერ ხედავს იმ მედგარ ბძოლას, რომელსაც ქართული დემოკრატული პრესა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ ეწევა, ამავე საერობო საკითხშიც მარა საკმარისია მისთვის, რო შემთხვევით რომელიმე საკითხის შესახებ არაფერი ითქვას, რო მაშინვე განგაში ატეხოს დემოკრატულ პრესის წინააღმდეგ და შხამი თესოს. ამის მიზეზი ყველასთვის ცხადზე უცხადესი უნდა იყოს.

ვინ არ იცის, რომ „ჰორიზონისტების“ წყალობით, რა დღეში ჩავარდა ბედშავი სომხის ხალხი და სადამდი მივიდა ის.

. . . . . .

. . . . . .

ეს კარგათ აქვთ შეგნებული ვარანდიანებს და შახათუნიანებს. ამიტო ყოველ ღონეს ხმარობენ, რო სომხის საზოგადოების ყურათღება სულ სხვა მხარეს მიაპყრონ. როგორც გამოცთილი სტრატეღები, იმათ საბძოლველ ასპარეზათ სომეხ-ქართველთა ურთიერთოვის საკითხი გამოაქვთ; ისეთი საკითხი, რომელიც ამ ორ მეზობელ ერის ფართო მასისთვის არც-კი არსებობს. მარა ისინი მაინც ცთილობენ სომხის შეუგნებელ ელემენტების გონების დაბნელებას და არევ-დარევას.

შახათუნიანები და ვარანდიანები ოსტატურათ სარგებლობენ ქაროულ თავად-აზნაურულ პრესის გამოლაშქრებით, მას მთელ ქართველ ხალხის გამოლაშქრების ხასიათს აძლევენ და სომეხ ხალხის წინაშე ქართველი ერი შოვინისტურათ გამოყავთ.
ეს არის აშკარა და უტიფარი ცილისწამება.

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რო ქართველ ხალხს თვის საზოგადობრივ-პოლიტიკურ შეგნებით მოწინავე ადგილი უკავია არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ რუსეთში... სომხის საზოგადოების დიდი ნაწილი-კი, მხოლოთ ახლა ადგება გათვითცნობიერების გზას.

დაგვრჩენია მარტო ის, რო შახათუნიანებს, ვარანდიანებს და სხვებს ვუთხრათ: შორს გასწით თქვენი ბინძური ხელები კავკასიის ერთა დამოკიდებულების საქმიდან. კმარა, რაც ექსპერიმენტები მოახდინეთ სომხის ხალხის თავზე და, რაც განაცთევიეთ მას. კავკასიაში მაინც დაგვანებეთ თავი.

შორს, თქვენი ბინძურის ხელებით!

რედაქტორ-გამომცემელი რომანოზ ფანცხავა

ნებადართულია სამხედრო ცენზურისგან. სტამბა „ძმობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა

1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის სურათებიანი ჟურნალი იუმორისტული განყოფილებით, შარჟებით და კარიკატურებით

მეოთხე წელიწადი

„თეატრი და ცხოვრება“

წელიწადი გამოცემისა მეოთხე

1916 წელსაც გამოვა

წლიურად 5 მან. ნახ. წლ. 3 მან.

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეჭილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში ხუთასამდი სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით 3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ—ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს — 2 მ. მაისში — 2 მ. ენკენისთვეს 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება. **ხელის მოწერა მიიღება** „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. **ფოსტით:** Тифлитъ. ред. „Театри да Цховреба“ — Іос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41. **რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა.**

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„საშუალო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი — 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“, თფილისის ქუჩა. სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი პორტრეთები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ პორტრეთები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ი. თ. ტანცაძე.